ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 28 მაისი, 2020 №116 (8380) ფასი: 60 თეთრი

## ირმა ჭკადუა: „ნეკა დოროყაშვილმა ნიკა ბასილაშვილს აშშ-ის ღია პირველობაზე სკანდალი მოუწყო“



„ნიკა ბასილაშვილმა ნეკაზე იძალადა მაშინ, როცა ნეკა ბავშვიანად ეზოდან გარბოდა“

გვ.5



# „გახარიას წარმატებები ივანიშვილის ეჭვიანობას ზრდის“

გვ.2

## გია ხუხაშვილი: „ოცნება“ პოლიტიკური დღის წესრიგით მოქმედებს და არა სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობით“

## „გახარია ვერ შეძლებს, ხალხს 20 ივნისი დაავიწყოს“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლებას ცხელი ზაფხული წინ აქვს“

## გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლება მშიერი ადამიანების კუჭს სიტყვების რახარუხით ვერ შეავსებს“

გვ.3

„გახარიას, ერთადერთი, შეუძლია, უბრალოდ, სიტყვები დამარცვლოს და საუბარში გაიპრანჭოს“

## გიორგი გახარია: „პოლიციელები იყვნენ ეპიდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე და მათ ეკუთვნით მადლობა“

გვ.5

გვ.4

## შოთა მალაშხია: „ოცნებამ“ კარგად იცის ფულის მოტეხა საბჭოურად“

„მალე მთელი მოსახლეობა გაიგებს, რომ ვირუსთან ბრძოლის ქართული მოდელი ბლეფია“

## ვახტანგ მაისაია: „ელცინის რუსეთიც ისეთივე მტერი იყო საქართველოსი, როგორიც პუტინის რუსეთია“

გვ.4

ISSN 1987-9385

2 29 მაისიდან მეტრო და ყველა სახის მუნიციპალური ტრანსპორტი ამუშავდება

6 ჩუვაშეთის პრეზიდენტმა პუტინს სასამართლოში უჩივლა

3 ფარცხალაძე დაჯარიმდა

6 მოსყიდვა, ქრთამის აღება, ყალთაბანდობა რას ედავება ბენიამინ ნეტანიაჰუს გამოძიება

# „გახარიას წარმატებები ივანიშვილის ეჭვიანობას ზრდის“

## გია ხუხაშვილი: „ოცნება“ პოლიტიკური დღის წესრიგით მოქმედებს და არა სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობით“

იავო ნაცვლიშვილი

**გუშინ საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია პარლამენტის წინაშე წარდგა, შესრულებული სამუშაო შეაჯამა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მას მოუწია დეპუტატების უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა. გახარიამ პარლამენტში გამოსვლისას საინტერესო პასაჟი გააკეთა, რაც იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებულ სუბსიდირებას ეხება.**

**„სახელმწიფო მოახდენს იპოთეკური სესხების სუბსიდირებას ყველა იმ ადამიანისთვის, რომლებიც გადაწყვეტენ იპოთეკური სესხის აღებასა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.**

**რას გულისხმობს გახარიას ინიციატივა, რამდენად გამართლებულია და უკავშირდება თუ არა არჩევნებს? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი საუბრობს.**

***– გიორგი გახარიას პარლამენტში გამოსვლიდან ჩემი ყურადღება მიიქცია ერთმა პასაჟმა, როდესაც ის საუბრობს იპოთეკური სესხების სუბსიდირებაზე. ეს როგორ უნდა გავიგოთ? „ოცნება“ 2018 წლის გზით მიდის, როდესაც სესხები ჩამოაწერა? როგორია თქვენი შეფასება, როგორც პოლიტოლოგისა და როგორც ეკონომისტის?***

– არა, ამ შემთხვევაში სხვა რამესთან გვაქვს საქმე. აქ საუბარია სუბსიდირებაზე. მოგეხსენებათ, უძრავი ქონების შეძენა დღეს ხდება კრედიტით და კრედიტის გადახდას ადამიანები ახერხებდნენ იქიდან გამომდინარე, რომ ჰქონდათ სამსახური და იყვნენ გადახდისუნარიანები, ამიტომ მათ გააკეთეს შენაძენი ან აპირებდნენ ამას. ზუსტად ამ საკითხში შეიქმნა პრობლემა. სამსახურის დაკარგვის შემდეგ ბანკის ვალის გადახდა პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება, შესაბამისად, ხელისუფლება ფიქრობს ამის სუბსიდირებაზე.

თუმცა, ჩემთვის გაუგებარია, რატომ არის ეს უნივერსალური ფორმულა, იმიტომ, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც შეექმნათ პრობლემა და არსებობენ ადამიანები, რომლებსაც პრობლემა არ შეჰქმნიათ. არიან ადამიანები, რომლებაც სამსახური შეინარჩუნეს, მაგრამ საკმაოდ შეზღუდულები არიან იმისათვის, რომ გადაიხადონ პროცენტები. შესაბამისად, ეს უნივერსალურად რატომ უნდა მოქმედებდეს მდიდარზეც და ღარიბზეც, პრობლემატურზეც და არაპრობლემატურზეც, ჩემთვის გაუგებარია.

***– ანუ ყველას მიმართ იქნება სუბსიდირების ნაწილი განხორციელებული?***

– კი, ასეთი განცხადება გაკეთდა. ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს იმისათვის, რომ ზუსტი შეფასება გავაკეთოთ. თუ ყველას მიმართ იქნება, ეს ჩემთვის არის გაუგებარი. გადახდისუნარიანობა ყველას არ დაუკარგავს.

***– ამან ისიც ხომ შეიძლება გამოიწვიოს, რომ ბევრმა იყიდოს ბინები და თქვას, რომ აღარ აქვს გადახდის საშუალება?***

– კი, მაგრამ აქ არ არის ძირითადი თანხის სუბსიდირებაზე საუბარი, აქ საუბარია პროცენტის სუბსიდირებაზე. აქ მხოლოდ პროცენტის ნაწილზეა საუბარი.

***– თუმცა ხშირად სწორედ პროცენტის ნაწილია ადამიანებისთვის პრობლემური ნაწილი.***

– მაგრამ, ადრე თუ გვიან, ეს პროცენტი მაინც გადასახდელია.

მოდით, სხვა კუთხით შევხედოთ ამ საკითხს. მე თუ მაქვს იპოთეკური სესხი, ამ დროს შეიქმნა ფორსმაჟორული ვითარება, ამის გამო დავკარგე შემოსავალი და ვეღარ ვიხდი სესხს. ასეთ დროს მე ისედაც შემიძლია, მივმართო სასამართლოს და სასამართლოს გზით მოვთხოვო ბანკს, რომ შემიჩეროს მოცემულ მომენტში საბანკო პროცენტის გადახდის ვალდებულება. ასეთ საქმეებს, შესაძლოა, პერსპექტივაც ჰქონდეს.

აქედან გამომდინარე, ჩემთვის გაუგებარი, იცით, რა არის? თუ ამას თავის თავზე იღებს ბიუჯეტი ანუ ხალხი, ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადები, ეს რამდენად სწორია, ამაში არ ვარ დარწმუნებული. მე ვფიქრობ, ამაზე პასუხისმგებლობა თავის თავზე ბანკებს უნდა აეღოთ, იქიდან გამომდინარე, რომ მათ კლიენტებს შეექმნათ პრობლემა, ბევრი გადახდისუუნაროა, მაინც ვერ იხდის ამ სესხს და, შესაბამისად ბანკს ექმნება პრობლემები. თუ ბანკი ნებაყოფლობით გამოაცხადებდა საპროცენტო განაკვეთზე გარკვეული დროით არდადეგებს, იქამდე, სანამ ეს კრიზისი გადაივლიდა, ეს იქნებოდა სწორი. ამას თუ მთლიანად ბიუჯეტის ხარჯზე აკეთებს ხელისუფლება, ეს ჩემთვის გაუგებარია.

ნაწილობრივ შეიძლებოდა ამის გაკეთება, მაგრამ არა – მთლიანად. ეს პროექტი ბანკებთან ერთად უნდა იყოს განხორციელებული. ნაწილი უნდა იტვირთონ ბანკებმა და ნაწილი – ბიუჯეტმა. გარდა ამისა, უნივერსალური მიდგომა, რომ ყველას გადავუხადოთ, ბუნდოვანი და გაუგებარია.

***– არჩევნების კონტექსტშიც ხომ არ ჩნდება გარკვეული კითხვები ამ საკითხთან დაკავშირებით?***

– ყველაფერი, რაც უკავშირდება სოციალური სუბსიდირების თემას, უკავშირდება არჩევნებს. ეს თავისთავად ცხადია და ბუნებრივია.

***– მით უმეტეს, თქვენ ამბობთ, რომ სასამართლოს გზით შეიძლებოდა ამის გადაწყვეტა. ჩნდება კითხვა, ხომ არ ცდილობს „ოცნება“, დამატებითი ქულები ჩაიწეროს აქტივში?***

– არ ვიცი. ვიღაცასთან იწერს, მაგრამ ვიღაცასთან ვერ იწერს. ძნელი სათქმელია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელისუფლება დღეს მოქმედებს პოლიტიკური დღის წესრიგით და არა – სოციალური და ეკონომიკური მიზანშეწონილობით.

***– კულუარებში საუბრობენ გიორგი გახარიას შეცვლაზე. თქვენი აზრით, მისი ბედი არის თუ არა დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად ეფექტიანად გაუმკლავდება პოსტკრიზისულ პერიოდს და რამდენად დაიწერს ქულებს მოსახლეობაში არჩევნების წინ?***

– ხელისუფლის ეფექტიანობა, ამ შემთხვევაში ფორმალური ხელისუფლის, ამ ქვეყანაში მახვილივით არის. თუ ის არ არის ეფექტიანი, ეს არის ერთი უბედურება, მაგრამ, თუ ეფექტიანია, მეორე უბედურებაა, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანა სულ სხვა ადგილიდან იმართება და იმ ადამიანს ეჭვიანობის შემოტევები აქვს ხოლმე. შენი ავტორიტეტი როცა იზრდება, ეს არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე ის, რომ საერთოდ არაფერს აკეთებ.

***– ანუ საწინააღმდეგო შედეგი შეიძლება გამოიწვიოს, თუ, ვთქვათ, გახარია კრიზისს ეფექტიანად გაუმკლავდება?***

– რა თქმა უნდა. ასეთი შემთხვევებიც გვინახავს.

# 29 მაისიდან მეტრო და ყველა სახის მუნიციპალური ტრანსპორტი ამუშავდება

29 მაისიდან ყველა სახის მუნიციპალური ტრანსპორტის მოძრაობა აღდგება. როგორც პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე განაცხადა, მგზავრობის დროს აუცილებელი იქნება პირბადის ტარება და ამას შესაბამისი სამსახურები გააკონტროლებენ.

– ქვეყანაში ინფექციის, პანდემიის გავრცელება ექვემდებარება კონტროლს, რაც, რა თქმა უნდა, საზოგადოებასთან ერთად, ერთობლივი შრომის შედეგია. ამიტომ დღის წესრიგში დგას შემდგომი ამოცანა – ეს გახლავთ ეკონომიკის უფრო სწრაფი ამოქმედება. დღეს შეგვიძლია ვთქვათ, როგორც ფაქტი, რომ ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა, ეს გეგმა ცოტა უფრო ავაჩქაროთ. დღეს ჩვენ დაავადებათა კონტროლის ცენტრმა მოგვაწოდა კვლევის შედეგები, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქვეყანაში ინფექციის შიდა გავრცელების მასშტაბი არის ძალზედ მცირე და რისკები არის შემცირებული.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ვირუსი ჯერ არ დაგვიმარცხებია, მიუხედავად იმისა, რომ ვირუსი დღეს რჩება ჩვენთან ერთად და ჩვენ აუცილებლად უნდა დავიცვათ უსაფრთხოების ელემენტარული ნორმები, როგორიც არის პირბადე, სოციალური დისტანცია, ჰიგიენის ელემენტარული წესები, მიუხედავად ამ ყველაფრისა და ჩვენი მოქალაქეების ეკონომიკური და სოციალური ინტერესების გათვალისწინებით, ჩვენ დღეს მივიღეთ გადაწყვეტილება შემდგომი შემსუბუქების დაწესების თაობაზე: 29 მაისიდან გაიხსნება ყველა სახის მუნიციპალური ტრანსპორტი, მათ შორის მეტრო და ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული წესების დაცვით, ეს გახლავთ აუცილებელი პირბადის ტარება. ამაზე პასუხისმგებელი იქნებიან მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმძღვანელი ორგანიზაციები ან კერძო ტრანსპორტის მფლობელები, – განაცხადა გახარიამ.

# გახარია: „საქართველო ბიუროკრატიული ხარჯების სიმცირით მსოფლიოში მე-2 ადგილზეა“

– დღეს საქართველო ბიუროკრატიული ხარჯების სიმცირით მსოფლიოში მე-2 ადგილზეა.

ამის შესახებ გუშინ, 27 მაისს, პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ დეპუტატების კითხვის საპასუხოდ განაცხადა, რომელიც ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას ეხებოდა.

მთავრობის მეთაურის თქმით, იყო პერიოდი, როდესაც საქართველო პირველ ადგილზეც იყო.

– 300 მილიონიც რომ ჩამოვაჭერით, კრიზისი რომ არ ყოფილიყო, ვერ ჩამოვაჭრიდით და გეტყვით, რატომ. ამ ხარჯების შემდგომი შემცირება პირდაპირპროპორციულია და დამოკიდებულია ბიუროკრატიის ხარისხზე. ახლა პირიქით პროცესი უნდა წავიდეს, შეიძლება, ვიდავოთ ფიზიკურ რაოდენობაზე, მაგრამ ერთ სულ მოსახლეზე ბიუროკრატიული ხარჯებით, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველო დღეს არის მე-2 ადგილზე მსოფლიოში. პოლიტიკური მოტივი გავიგე, აშკარაა, კარგი თემაა, მეც ასე მოვიქცეოდი თქვენ ადგილას, ალბათ, მაგრამ ამის უკან შინაარსი არ არის, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

# კალაძე: „ავტობუსებში კონდიცირება არ იქნება, სამაგიეროდ, ფანჯრებს გავაღებთ“

თბილისის მერ კახა კალაძის განცხადებით, ყველა სახის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას პირბადის ტარება აუცილებელი იქნება.

მისივე თქმით, ამ პროცესს მერია ზედამხედველობასა და კონტროლს გაუწევს.

– მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, როგორც მეტროში, ასევე ავტობუსებსა და მიკროავტობუსებში აუცილებელი იქნება პირბადის ტარება, სხვანაირად, უბრალოდ, შეუძლებელია და ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მოსახლეობამ. ჩვენ ამას გავუწევთ ზედამხედველობასა და კონტროლს. მინდა, დავავალო ვიცემერს, ირაკლი ხმალაძესა და მაია ბითაძეს, რომ ეს მიმართულება გაკონტროლდეს მიკროავტობუსებში.

ასევე უნდა გააფრთხილოთ ჩვენი ავტობუსების მძღოლები, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს კონდიცირება ჩართული და ფანჯრები უნდა იყოს ღია, მეტროს არ აქვს ამის აუცილებლობა, ისედაც ჰაერი ფანჯრებიდან ნიავდება, – განაცხადა კახა კალაძემ.

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ განცხადებას ავრცელებს და იმ შეზღუდვებს განმარტავს, რომლებიც 29 მაისიდან ტრანსპორტის ამუშავების შემდეგ იქნება.

„აკრძალულია მგზავრის დაშვება მიკროავტობუსში დამცავი პირბადის გარეშე. ასევე აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებაში ფეხზე მდგომი მგზავრის გადაყვანა, აიკრძალა გაგრილების სისტემის ჩართვა და ასევე სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალების ღია ფანჯრებით გადაადგილება.

„კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ გაცნობებთ, რომ 29 მაისიდან სრულად აღდგება კომპანიის დაქვემდებარებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით მგზავრთა მომსახურება, საკოორდინაციო საბჭოს მიერ დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით.

კერძოდ: აკრძალულია მგზავრის დაშვება მიკროავტობუსში დამცავი პირბადის გარეშე, ასევე აკრძალულია სატრანსპორტო საშუალებაში ფეხზე მდგომი მგზავრის გადაყვანა, აიკრძალა გაგრილების სისტემის ჩართვა და ასევე სავალდებულოა სატრანსპორტო საშუალების ღია ფანჯრებით გადაადგილება.

ამასთან ერთად, მოგახსენებთ, რომ კოვიდ 19-ის გავრცელებისგან თავის დაზღვევის მიზნით, კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ სატრანსპორტო ხაზზე გასულ ყველა მიკროავტობუსს ავტოფარეხში დაბრუნებისთანავე ყოველდღე ჩაუტარებს დეზინფექციას. კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ წინასწარ მადლობას უხდის მგზავრებს დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებისთვის“, – აღნიშნულია კომპანია „თბილისის მიკროავტობუსის“ განცხადებაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე
**სარეკლამო სამსახური** – 599-532-690
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიორგი ვაშაძე: „ხელისუფლება მშიერი ადამიანების კუჭს სიტყვების რახარუხით ვერ შეავსებს“

## „გახარიას, ერთადერთი, შეუძლია, უბრალოდ, სიტყვები დამარცვლოს და საუბარში გაიპრანჭოს“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს გიორგი ვაშაძე პასუხობს.**

***– ბატონო გიორგი, გუშინ პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია საკანონმდებლო ორგანოში მივიდა მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად. გაკეთდა შეფასებები, რომ მისი გამოსვლა საკმაოდ დამაჯერებელი იყო, თუმცა ოპოზიციის მხრიდან სერიოზული კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვია. თქვენ რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მის მოხსენებაზე? რამდენად სწორად გაკეთდა აქცენტები?***

– მე ასე შევაფასებდი, რომ ეს იყო ყეყეჩური გამოსვლა და მეტი არაფერი. ამდენი თავის ქება, ამდენი საუბარი საკუთარ თავზე, ამ ვითარებაში, როდესაც ასე უჭირს ხალხს და ასეთი მძიმე ვითარებაა ქვეყანაში ეკონომიკურად, მგონია, რომ ძალიან სამარცხვინოა. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ჩვენ უცოდინარ ადამიანთან გვაქვს საქმე, რომელსაც ცხოვრებისეული კი არა, არანაირი გამოცდილება არა აქვს და შემთხვევით მოხვდა პრემიერ-მინისტრის სავარძელში. ერთადერთი, რაც შეუძლია, უბრალო სიტყვები დამარცვლოს და გაიპრანჭოს საუბარში. დანარჩენი, სრული წყალი იყო თავიდან ბოლომდე ყველაფერი, რაზეც ილაპარაკა, ან ბიზნესის, ან ეკონომიკის მხარდაჭერის კუთხით რასაც აპირებს.

***– ასე ფიქრობთ?***

– დიახ, იმიტომ, რომ მისი არც ერთი გადაწყვეტილება იმ კაბინეტს არ სცდება, სადაც ამ გადაწყვეტილებაზე საუბრობს. მაგალითისთვის გეტყვით, ერთი ლარის სუბსიდირება დიზელზე ხომ უნდა ყოფილიყო? შედით აბა სოკარის გვერდზე და ნახეთ, მხოლოდ და მხოლოდ 16 თეთრი იქნება. იქაც იცრუეს. ეს 16 თეთრი არის ის, კორპორატიულ შესყიდვაზე რა ფასდაკლებასაც აკეთებს ნებისმიერი ქსელური კომპანია, ეგ არის და არანაირი 1 ლარის სუბსიდირება.

***– იპოთეკურ სესხებზეც ისაუბრა, სახელმწიფო მოახდენს სუბსიდირებასო. ესეც ტყუილია?***

– ესე ჩვეულებრივი ტყუილია. საერთოდ კი ლაპარაკობენ ახალ იპოთეკურ სესხებზე, არადა, პრობლემა მიმდინარე იპოთეკური სესხებია. თქვენი აზრით, ახლა ვინმე სასტუმროს ასაშენებლად კრედიტს გამოიტანს, რაც უნდა სუბსიდირება გააკეთონ?! ახლა პრობლემა აქვს იმას, ვინც უკვე გამოიტანა სესხი სასტუმროს ასაშენებლად, სასტუმრო ააშენა, პირობითად ვამბობ და ვერ იხდის სესხს, იმიტომ, რომ ტურისტი არ არის. აბსოლუტურად აცდენილები არიან რეალობას. როგორც 200– ლარიან დახმარებაზე ამბობდნენ, მილიონი კაცი მიიღებსო, აღმოჩნდა, რომ სულ 78 ათას ადამიანზე უნდა გავრცელდეს და მათაც არ ჩარიცხვიათ და არ მიუღიათ.

***– დიახ, ჯერ კიდევ არ დაუწყიათ კომპენსაციების გაცემა, სამი თვის თავზე.***

– ასეა. არავის არანაირი დახმარება არ მიუღია. ეს ყველაფერი დიდი ტყუილია. რაღაცა ბუშტებს ბერავენ ტყუილისას და ამ ტყუილში მერე უნდათ, რომ დააჯერონ ხალხი. ჰგონიათ, რადგანაც ბევრ მედიასაშუალებას აკონტროლებენ, ერთსა და იმავეს რომ ეტყვიან ადამიანებს, ამას დააჯერებენ, მაგრამ მშიერი ადამიანების კუჭს სიტყვების რახარუხით ვერ შეავსებენ.

***– გახარიამ განაცხადა, ყველა შეზღუდვა და გადაწყვეტილება კანონის ფარგლებში განხორციელდაო.***

– აქაც დღემდე ვერ ამოვხსენით წინ რატომ არ გვსვამდნენ მანქანაში. უბრალოდ, აი, ასე მოეხუშტურათ და უკან აღარ დაიხიეს. გუშინ ამტკიცებდა გახარია, რომ თურმე ტესტი ვინც ჩაატარა, ძალიან დიდი შეცდომა დაუშვეს და ტესტი არ უნდა ჩაეტარებინა არავის. რამდენი ფაქტი ვთქვათ კიდევ. თუ ორ დღეში საზოგადოებრივი ტრანსპორტი დაიწყებს მუშაობას, ვინმეს აქვს ნანახი, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების რა პირობებში დაიწყებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუშაობას?! ვინმემ იცის, რა წესები დაწესდა მოლებისთვის, მაშინ რატომ გააჩერეს ეს ყველაფერი?! გვაქვს ბევრი კითხვა და არ არის პასუხები. ჩვენ რომ არ აგვეტეხა თქვენი, მედიის დახმარებით ერთი ამბავი, შეზღუდვები პირველ ივლისამდე კი არა, აგვისტოს ბოლომდე უნდოდათ, გაეგრძელებინათ.

***– ანუ ზეწოლის შედეგად მოხდა ამ ყველაფრის დაჩქარება და ამიტომ მოიხსნა შეზღუდვები?***

– რა თქმა უნდა, იმოქმედა მათზე საზოგადოებრივმა აზრმა, ამ საერთო ზეწოლამ.

***– წინასაარჩევნო პერიოდია. ეტყობა, მიხვდნენ, რომ წამგებიან სიტუაციაში არიან. ასეა?***

– თავიდან რომ მხოლოდ ეგენი იყვნენ ტელევიზორში, ეგონათ, მართლა მოგვემატა რეიტინგიო. ჩვენ კი გვინდოდა, საქმე გაკეთებულიყო ქვეყანაში, ზედმეტ განცხადებებს არ ვაკეთებდით და თავს ვიკავებდით, მაგრამ, რომ დავინახეთ მავნებლობდნენ ამ ყველაფრით, მოგვიწია ძალიან მკაცრი კრიტიკა და ამ კრიტიკის შედეგია, რომ თუნდაც დროზე ადრე მოხსნეს ის შეზღუდვები, რაც დაგეგმილი ჰქონდათ. ავუხსენით, რომ ეს სისულელე იყო და გადმოსწიეს თარიღი. იხსნება საზღვრებიც, მაგრამ ამ საზღვრების გასახსნელად როგორ ვემზადებით, არავინ იცის, რა პროცედურა იქნება, გაწერილი არსად არ არის. 72 საათი უნდა იყოს ტურისტი კარანტინშიო. ტურისტულმა კომპანიამ როგორ უნდა ამოხსნას ეს ამოცანა? რა უთხრას ტურისტს, ჩამოხვალ საქართველოში, მაგრამ ჯერ არ ვიცი წესებიო?! ეს ხომ დიდი სისულელეა.

***– ბატონო გიორგი, წინასაარჩევნო პერიოდია. პარტიები იწყებენ საარჩევნო კამპანიას. რადგან შეზღუდვები, ასე თუ ისე, იხსნება, რამდენად კარგ სიტუაციაში აღმოჩნდება ოპოზიცია? მოგეცემათ სრული დატვირთვით მუშაობის საშუალება?***

– ჯერ კიდევ არ ვიცით, რა მოიხსნება, როგორ მოიხსნება, შეკრებების კუთხით რა შეზღუდვები იქნება და ასე შემდეგ. გვაფრთხილებენ, რომ სექტემბერ-ოქტომბერში კიდევ უნდა ველოდოთ ახალ აფეთქებას. სიმართლე გითხრათ, მე დღე და ღამე ვმუშაობ და არ გავჩერებულვარ. ვმუშაობ ძალიან მწყობრი სტრატეგიის შექმნაზე იმისთვის, რომ ადამიანებამდე მივიტანო სრულყოფილი ინფორმაცია. გვინდა თუ არ გვინდა, მთავარი საკითხი არის ის, რომ მართლა მოგვიწევს ახალი მექანიზმების მოფიქრება, რაც ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო, შემოქმედებითი, ინოვაციური პროცესია.

***– გასულ კვირას თქვენს სახელთან და გვართან დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟი იყო ატეხილი. თქვენი გვარი დასახელდა პრემიერობის ერთ-ერთ კანდიდატად ოპოზიციის მხრიდან, თუმცა გამოგიჩნდნენ მოწინააღმდეგენიც. რამდენად გადაწყვეტილი საკითხია და რატომ გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა?***

– აზრთა სხვადასხვაობა, არ ვიცი, სად გამოიწვია. ეს იყო გაჟღერებული თაკო ჩარკვიანის მიერ. დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მას ჩემს შეფასებებთან დაკავშირებით. არა მგონია, ეს რამე ახალი იყო. ჩემთვის მთავარი ის არის, რომ უამრავი პროექტი მაქვს და მართლა გული მწყდება, რომ ქვეყანა უკან მიდის, არადა, ამდენი რამის გაკეთება შეგვიძლია. ჩემთვის მთავარია, რომ ამ პროექტების რეალიზება მოვახდინო, დანარჩენი, ჯერ ადრეა საბოლოო პოზიციების ჩამოყალიბება და გუნდურად მივიღებთ გადაწყვეტილებას. ვისაც ნდობა აქვს საზოგადოების მხრიდან, ის უნდა გახდეს პრემიერმინისტრობის კანდიდატი.

***– საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა?***

– არა, რა თქმა უნდა. ჯერ ადრეა. ამაზე ფართო დისკუსიაც იქნება.

***– ერთ-ერთ კანდიდატად რჩებით?***

– რა თქმა უნდა. ჩემი კანდიდატურა არავის მოუხსნია.

# „გახარია ვერ შეძლებს, ხალხს 20 ივნისი დაავიწყოს“

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ხელისუფლებას ცხელი ზაფხული წინ აქვს“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, რამდენად ეთანხმებით მოსაზრებას, რომ ხელისუფლება ეცდება, რბილ ფორმებში წარმართოს წინასაარჩევნო კამპანია და ამ რელსებზე გადმოიყვანოს ოპოზიციაც? შეიძლება, ამის მაგალითი იყო თუნდაც გიორგი გახარიას პარლამენტში გამოსვლა?***

– „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს, ქართველ ხალხს ხელოვნურად დამართოს ამნეზია. სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, „ქართული ოცნება“ ვერ შეძლებს, მით უფრო ბატონი გახარია, 20 ივნისი დაავიწყოს ხალხს.

შეიძლება, ეს არის მათი ტაქტიკა. არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილის მთავრობა მართლაც გადაეწყოს მოჩვენებით კონსტრუქციულობაზე.

***– და ამით ოპოზიციას ბერკეტი გამოაცალოს?***

– ვერანაირად ვერ გამოაცლის. მე მესმის ამ ტაქტიკის, მათ სურთ, ამ ფონზე ჩაატარონ არჩევნები, მაგრამ ეს ეტაპი გადის და ხალხი შიმშილის პირას, დიდი მცდელობის მიუხედავად, მშვიდად მომლოდინე რეჟიმში რამდენ ხანს იქნება?! უკვე მერამდენე თვე გავიდა და ვერ დამისახელებთ ვერც ერთ ადამიანს, რომელმაც მიიღო ხელისუფლებისგან ფულადი დახმარება. მოსახლეობა შიმშილის პირისპირ არის დარჩენილი და, ამაზე მე რომც გავჩუმდე და არაფერი ვთქვა, თავად ადამიანები ვერ გაჩუმდებიან, როცა

მოშივდებათ.

მოჩვენებითად უნდათ, მოირგონ დიდი მზრუნველის იმიჯი, მაგრამ ვერ გამოუვათ. მხოლოდ ლამაზი სიტყვებით, დიპლომატიური ეტიკეტის დაცვით ან არდაცვით ფონს ვერ გავლენ. ასე არ იმართება ქვეყანა. ქვეყნის მოქალაქეებს უზრუნველყოფილი ცხოვრება სჭირდებათ, ყველაფერთან ერთად. წინასაარჩევნო ამნეზიის მცდელობები იქნება, მაგრამ ამაოდ.

არ არის გამორიცხული, ხელისუფლება ცდილობდეს იმის დამტკიცებას, რომ ის განსხვავებულია მისი წინამორბედისგან, მაგრამ ისინი ამას ვერ დაამტკიცებენ, 20 ივნისის სისხლს ვერ ჩამოირეცხავენ. შემიძლია, მაჩალიკაშვილის საქმე გავიხსენო. შეიძლება, ისინი ფიქრობენ, რომ ხალხს დაავიწყდა მაჩალიკაშვილის საქმე, მაგრამ ასე არ არის. განსაკუთრებით 20 ივნისის შემდეგ „ქართული ოცნება“, დიახ, დაემსგავსა მის წინამორბედ მთავრობას. არც ერთი პოლიციელი არ გვახსოვს, რომელიც დაისაჯა, პასუხისგებაში მიეცა უდანაშაულო ადამიანისთვის თვალის ამოთხრისთვის. ორმა ახალგაზრდამ თვალი დაკარგა, უამრავი დაასახიჩრეს, ჩასვეს ციხეში და შემდეგ სხვადასხვა ღონისძიებით გამოუშვეს. შეუძლებელია, ამომრჩევლისთვის ამის დავიწყება შეძლონ მათ.

7 ნოემბერს თუ გადაჰყვა, ფაქტობრივად, წინა ხელისუფლება და ვერ დაივიწყა 7 ნოემბერი ქართველმა ხალხმა, რატომ არიან დარწმუნებული, რომ 20 ივნისს დაივიწყებს ხალხი?! არც მაშინ დასჯილა არავინ და არც ახლა დასჯილა, პირიქით, კი – დაწყნარდა! აქაც მსგავსება იდენტურია. ასეთი ცალ კარში თამაში ბევრი გვინახავს, მაგრამ, ისიც გვინახავს, რომ ეს მხოლოდ დროებითი თამაშია და ასე საბოლოო გამარჯვებამდე არავინ მისულა.

***– 20 ივნისის აქცია ძალაშია?***

– რა თქმა უნდა, ძალაშია. ოპოზიცია ბევრად უფრო აქტიური იქნება ამ სამუშაოების შესასრულებლად, რომ ღირებული აქცია გავმართოთ. ოპოზიცია საერთო ძალებით ამ ძალიან მნიშვნელოვან აქციას ნამდვილად გავმართავთ. ეს იყო ერთ-ერთი დიდი დანაშაული, დღე, როდესაც ხელისუფლებამ ნიღაბი ჩამოიხსნა და როდესაც დავინახეთ მათი ჩანაფიქრი. გარდა ამისა, ამ ზაფხულს ძალიან სერიოზული არაერთი პროტესტი იქნება. ხელისუფლებას ცხელი ზაფხული წინ აქვს.

რაც მთავარია, 8 მარტის შეთანხმება თუ ბოლომდე არ შესრულდება, თავად ხელისუფლება დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ მთელ ამ პროცესს. შეთანხმება უნდა შესრულდეს. ვის როგორი წარსული აქვს და აწმყო, მე ამაზე არ ვსაუბრობ. მე ვსაუბრობ მოცემულობაზე. არ შეიძლება, ადამიანი უდანაშაულოდ გაასამართლო და ციხეში ჩასვა.

***– თქვენ ცოტა ხნის წინ დაგაკავეს. ამჯერად რატომ და რა ეტაპზეა პროცესი?***

– სასამართლო პროცესი 10 ივნისამდე გადაიდო. ჩვენ ვიდეოჩანაწერების გამოქვეყნება მოვითხოვეთ, სადაც გამოჩნდება, რომ მე სრულიად უდანაშაულო ვარ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, სასამართლო ან მორიგ ჯერზე ადმინისტრაციულად დამაპატიმრებს, ან პოლიტიკურ ჯარიმას გამომიწერს. ვნახოთ.

მე ნამდვილად არ ვაპირებ გაჩერებას. წესით, აქამდეც უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ვერ შემაშინებენ. ეს ვერ ქნა ვერც წინა ხელისუფლებამ და ვერ იზამს ვერც ერთი ხელისუფლება. ადამიანის კონსტიტუციური უფლებაა, ჯანსაღ გარემოში იცხოვროს. მე ამ უფლებას ვიცავდი. ორი კორპუსის უკანონო მშენებლობა გავაპროტესტე. ალუბლების ქუჩაზე, ალუბლის ბაღში გაცემული მშენებლობის ნებართვა, გაგანია პანდემიის დროს, როდესაც მთელი მსოფლიო გაჩერებულია, ცხადია, დანაშაულებრივია, რაზეც კალაძეს აუცილებლად მოეთხოვება პასუხი. თვეების განმავლობაში ვაჩერებდით ამ მშენებლობას. სწორედ ამას ვაპროტესტებდი ამჯერადაც მოქალაქეებთან ერთად და ამ დროს დამაკავეს. ლამის ცოცხლად დამაბეტონეს.

# ფარცხალაძე დაჯარიმდა





პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას განცხადებით, ყოფილი გენერალური პროკურორი, ოთარ ფარცხალაძე, რომელიც ავტომობილით გადაადგილების აკრძალვის პირობებში, რუსთაველის გამზირზე მანქანით მოძრაობისას შენიშნეს, დაჯარიმდა.

ფარცხალაძის შესახებ პრემიერს ოპოზიციის დეპუტატმა ირმა ნადირაშვილმა ჰკითხა.

– ფარცხალაძის მაგალითზე რა კომენტარი უნდა გაგიკეთოთ? დააშავა? დაჯარიმდა, გადაიხადა. ეგეთი ბევრი დაჯარიმდა, 9.000 ჯარიმა იყო, – განაცხადა პრემიერმა.

მას სიტყვა ხათუნა გოგორიშვილმა შეაწყვეტინა, რომელმაც დაზუსტება სთხოვა, ნამდვილად დაჯარიმდა თუ არა ფარცხალაძე, რაზეც პრემიერმა უპასუხა:

– დიახ, რა თქმა უნდა, დაჯარიმდა. ჩვენ სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობთ, დააშავა? დაჯარიმდა.

**შევიძენ**

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

# შოთა მალაშხია: „ოცნებამ“ კარგად იცის ფულის მოტეხა საბჭოურად“

## „მალე მთელი მოსახლეობა გაიგებს, რომ ვირუსთან ბრძოლის ქართული მოდელი ბლეფია“

მარიამ მჭედლიშვილი

**რატომ ვერ დააგროვებს პოლიტიკურ კაპიტალს პრემიერი გიორგი გახარია? რით გამოიჩინა თავი ხელისუფლებამ? რატომ არ არის მოსალოდნელი თბილისში ჭავჭავაძის პროსპექტის სრულად გახსნა არჩევნებამდე? რას ნიშნავს საარჩევნო მოდელი 120/30 პოლიტიკური სპექტრისათვის? რა დასკვნებს გამოიტანს ხელისუფლების ბოლოდროინდელი მოქმედებებიდან საზოგადოება? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ოპოზიციური ერთობის წარმომადგენელს, ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის ლიდერ შოთა მალაშხიას.**

***— ამ დღეებში აქტუალურია პრემიერ-მინისტრის ორჯერ ზედიზედ მისვლა პარლამენტში. არსებობს მოსაზრება, რომ გიორგი გახარიამ, რომელიც, შესაძლოა, შეცვალონ, ბოლო დროს კორონავირუსთან ბრძოლის ფონზე გარკვეული ქულები დაიწერა. რას იტყვით?***

— ფენომენი „გიორგი გახარია“ არ არსებობს. გახარია არ არის დამოუკიდებელი. ის, სხვების მსგავსად, ივანიშვილის ხელის ბიჭია. ივანიშვილს პრემიერ-მინისტრად ხან ერთი ხელქვეითი უნდა, ხან — მეორე და ხან — მესამე. გახარია არის პირი, რომელმაც შარშან, ივნისში, თვალები დასთხარა საკუთარ თანამოქალაქეებს. ამის გამო ივანიშვილმა ის პრემიერად დააწინაურა. თუ გახარიამ რამეში ივარგა, ეს რუსეთის წინაშე ვალდებულებების შესრულებაა. გახარია თავისი მამა-მარჩენლის, ივანიშვილის მსგავსად, ასრულებს რუსეთის დავალებებს საქართველოში. რუსეთის ინტერესების გატარება, ფულის გათეთრება და სხვა ბრალდებები ამ ხალხის მიმართ მსოფლიოში ისმის.

***— საზოგადოება როგორ უყურებს გახარიას? ითვლება, რომ მთავრობის ბოლოდროინდელი აქტივობა ხალხის ნაწილის თვალში პოზიტიურად აღიქმება და გახარიას უკავშირდება.***

— არ ვიცი, რომელ ხალხზეა საუბარი. აბსოლუტურ უმრავლესობას უფრო გაუჭირდა, ბევრმა ლუკმაპური დაკარგა. ადამიანები უტრანსპორტობის გამო ვერ გადაადგილდებიან. სახლში ჩაკეტილ ადამიანებს დაუქვეითდათ იმუნიტეტი, ბევრს შეექმნა ფსიქოლოგიური პრობლემა. გახარია ამ ჩაკეტვებთან და აკრძალვებთან ასოცირდება და ხალხში მას რეიტინგი ვერ გაეზრდებოდა. თუ ვინმეს მკაცრი აკრძალვები მოსწონს, მაშინ იმას ჩრდილოეთ კორეაში ცხოვრება მოეწონება. საქართველოს მთავრობამ იმ მხრივაც ვერაფერი გააკეთა, რომ კოვიდ 19-თან ბრძოლისას საზოგადოება გაერთიანებულიყო.

***— ეს შესაძლებელი იყო?***

— რასაკვირველია. თურქეთსა და ისრაელში დიდი პოლიტიკური დაპირისპირებაა. მიუხედავად ამისა, ორივე სახელმწიფოში ეს დაივიწყეს. თურქეთსა და ისრაელში ჩამოყალიბდა ერთიანი საზოგადოებრივი პლატფორმები. საქართველოში ამის მაგივრად პოლიტიკური დევნა გაძლიერდა. პანდემიის პირველ პერიოდში საოკაშვილმა საქართველოს ხელისუფლებას სწორედ ერთიანობა და დახმარება შესთავაზა. იგი მზად იყო, გაეკეთებინა უცხოეთში მყოფი ქართველების ჩამოყვანის ორგანიზება, ასევე მოეზიდა დიდი ინვესტიციები. მას უარი უთხრეს. ინვესტიციებს ახლა მესამე პრეზიდენტი უკრაინის რეფორმების საბჭოდან უკრაინისთვის მოიპოვებს. ერთადერთი, რაც ამ ხელისუფლებამ იცის, არის ფულის კეთება. ფულს ბიზნესშიც შოულობენ. ამათ ნამდვილი ბიზნესი არ აინტერესებთ. „ოცნების“ საქმეა ფულის „მოტეხა“ საბჭოურად. საგანგებო მდგომარეობის დროს ფულის კეთებასა და ივანიშვილის ხეების ტრანსპორტირებას დაბრკოლებები არ შეჰქმნია. ხელისუფლება თავისუფლად გადაადგილდებოდა. სხვა ყველაფერი გააჩერეს. ფულის მოხვეჭას უტვინო მოქმედებებსაც ურთავენ. ეს კარგად ჩანს ჭავჭავაძის გამზირის მაგალითზე. რეაბილიტაცია ჭიანურდება. რაც უფრო გაიწელება სამუშაოები, მით მეტი თანხა „მოტყდება“. ამ პროსპექტის რეაბილიტაციამ დაუსრულებელი სახე მიიღო. გაჩერებების მოწყობას შუა ქუჩაში გეგმავენ. ეტყობა, ამის მომგონმა სადღაც უცხოეთში მსგავსი რამ ნახა. ის კი არ იფიქრეს, რომ იქ ქუჩები ფართოა, ავტობუსები კი ორმხრივად იღება! ისეთი აბსურდი მოიგონეს, რომ ხალხს უდიდეს დისკომფორტს უქმნიან. უბრალოდ, ქაოსი იქნება ამ რეაბილიტაციის შემდეგ. ამიტომ, მგონია, გზა არჩევნებამდე არ გაიხსნება.



***— ფიქრობთ, „ოცნება“ რეაბილიტირებული პროსპექტის არჩევნების შემდეგ გახსნას გეგმავს?***

— მაგას, ალბათ, არც გეგმავენ. ამ ხელისუფლების ამოცანაა რაც შეიძლება მეტი ფულის შოვნა ხალხის ხარჯზე. კიდევ უფრო გამდიდრდებიან და მერე გაასწრებენ ქვეყნიდან.

***— საარჩევნო სიის გადახალისება ამისთვის სჭირდებათ? გაქცევას რომ აპირებდნენ, საარჩევნო სიისთვის ახალ სახეებს არ მოძებნიდნენ.***

— პიროვნება, რომელიც საბჭოთა მენტალიტეტისა არ არის, „ოცნებასთან“ ვერ იქნება. თუ მოძებნიან — ისევ თავისსაირებს. ამით არაფერი შეიცვლება. „ქართული ოცნება“ ვერც გადამგდების სახელს მოიშორებს.

***— საზოგადოებას ადრინდელი „გადაგდებები“ ემახსოვრება. დაპირებული საარჩევნო მოდელის 120/30-ის შემთხვევაში ხელისუფლებას, ალბათ, უპირობას ვერ დააბრალებენ.***

— ადრეც ვთქვი, რომ ამის შესრულება ხელისუფლებას მოუწევდა. კორონავირუსით ისარგებლეს. უნდოდათ, აქაც დაერღვიათ პირობა. ივანიშვილის ხელისუფლებისთვის საკონტროლო გასროლა აღმოჩნდა ამერიკელი სენატორებისა და კონგრესმენების მხრიდან სახელმწიფო და ფინანსთა მდივნებისადმი გაგზავნილი წერილი საქართველოს ხელისუფლებაზე. საქართველოს საზოგადოებამ და პარტნიორებმა მოსთხოვეს ხელისუფლებას დაპირების შესრულება.

***— რას მოიტანს მოდელი 120/30?***

— „ოცნება“ ამ შეთანხმებამდე რამდენიმე თვით ადრე გვთავაზობდა სრულად პროპორციულ სისტემას 2020 წლისთვის. მან გადაგვაგდო. ამიტომ ეს მოდელი, 120/30, იყო გამოსავალი, თორემ ეს 30 მაჟორიტარი პარლამენტში იდიოტობაა. როცა მთლიანად პროპორციულ სისტემაზე გადავალთ, მერე ყველაფერი სხვანაირად აეწყობა. ძალები ან უნდა გაძლიერდნენ, ან პოლიტიკას თავი დაანებონ.

***— გამოდის, რომ ახლა გარდამავალი ეტაპია?***

— ახლანდელი მდგომარეობა იმითაა გამორჩეული, რომ ივანიშვილმა თავისი ტყუილებით მთელი ოპოზიცია გაგვაერთიანა. ჩვენ ერთად დავდექით ორიენტაციის მიუხედავად. ამ ეტაპზე პოლიტიკური თანაცხოვრება მოგვიწევს.

***— მოსახლეობასთან არ გაგიჭირდებათ პოლიტიკოსებს ურთიერთობა? შეზღუდვები ხელს შეგიშლით?***

— არა. ხალხთან ურთიერთობა შესაძლებელია. შეხვედრებს მცირე ჯგუფებთან ვერავინ აკრძალავს. არსებობს ბუკლეტების დარიგების, ინტერნეტით მიმართვის საშუალებები. მთავარია, რომ საზოგადოება ბევრ რამეს მიხვდა და არჩევნებამდე ყველაფერს გაიგებს.

***— რას გულისხმობთ?***

— მალე მთელი მოსახლეობა გაიგებს, რომ ვირუსთან ბრძოლის ქართული მოდელი ბლეფია. ახალი მონაცემებით, 370.000-მდე ადამიანს გადატანილი აქვს კოვიდ 19. მოსახლეობის 70%-ს ეს მოხდილი აქვს. ამ ხალხიდან 80%-მა დაავადება უსიმპტომოდ გადაიტანა. პრობლემური იყო 5%. ხელისუფლებას ყველაფერი კი არ უნდა ჩაეკეტა, იმ 5%-სთვის უნდა მიეხედა. ამ აკრძალვებით უამრავი ადამიანი ულუკმაპუროდ დარჩა. ამ ხალხს, უბრალოდ, შია. კომპენსაციებს ბევრი ვერ მიიღებს. „ქართულ ოცნებას“ სულ სხვა რამე უნდოდა, მაგრამ ვერ ეღირსა. სიტუაცია, რომელიც ხელისუფლებას თავის სასარგებლოდ უნდა გამოეყენებინა, უკვე მის წინააღმდეგ მოქმედებს. არჩევნებამდე ხალხი სიმართლეს სრულად გაიგებს და თავისი უმძიმესი მდგომარეობის გამო პასუხს „ოცნებას“ მოსთხოვს.

# „ელცინის რუსეთიც ისეთივე მტერი იყო საქართველოსი, როგორიც პუტინის რუსეთია“

## ვახტანგ მაისაია: „დასავლეთი მთლიანად ჩვენ გვერდითაა“

**„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში ვახტანგ მაისაია პასუხობს.**

გულიკო ბალაძე

***— ბატონო ვახტანგ, არსებული ვითარების გამო 26 მაისი, როგორც დამოუკიდებლობის დღე, ნაწილობრივ აღინიშნა, კერძოდ, სამხედროებთან ერთად. როგორია საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა, ტაქტიკა და სტრატეგია?***

— 1918-21 წლების საქართველოს რესპუბლიკის დროინდელი გეოსტრატეგიული გარემო, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. რა სამხედრო გამოწვევის წინაშეც იდგა იმ დროს საქართველო, დღესაც იმავე გამოწვევების წინაშე ვდგავართ. რით გამოიხატება ეს? 1918-21 წლების საქართველოს ჰქონდა ძალიან რთული გარემო. საქართველოს ჰყავდა ორმაგი მტერი — წითელი, ბოლშევიკური რუსეთი და თეთრი რუსეთი. საქართველოს მიმართ ორივე ცუდად იყო განწყობილი.

***— ჩვენთვის ისინი ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან.***

— დიახ. საქართველოს მოუწია როგორც დენიკინის მოხალისეთა არმიის, ასევე ბოლშევიკური რუსეთის წინააღმდეგ ორი მსხვილი სამხედრო კამპანიის წარმოება. სამწუხაროდ, მესამე სამხედრო კამპანიის წარმოების დროს საქართველო დამარცხდა. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

დღესაც რუსეთთან გვაქვს პირდაპირი საომარი კონფრონტაცია. მაშინ საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მეშვეობით. გერმანიისა და მეორე რაიხის ფაქტორი რომ არა, 1918 წელს საქართველოს გაუჭირდებოდა ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება.

1918 წელს ბრიტანეთი და ანტანტის ქვეყნებიც გამოჩნდნენ გეოპოლიტიკურ არენაზე. ისინიც გვეხმარებოდნენ, რომ მომხდარიყო რუსული აგრესიის მოგერიება, მაგრამ, როგორც დღეს ნატოში არ გვიშვებენ, რადგან არსებობენ გარკვეული სკეპტიკურად განწყობილი სახელმწიფოები, მაშინაც ერთა ლიგაში საქართველოს საკითხი, სამწუხაროდ, დაიბლოკა. რამდენიმე ევროპულმა სახელმწიფომ საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებას მხარი არ დაუჭირა. დღეს იგივე ხდება ნატოსთან დაკავშირებით.

***— სამწუხაროდ, მაშინაც და ახლაც ტერიტორიები დავკარგეთ. მაშინ ჩვენი ტერიტორიები დაინაწილეს თურქეთმა, რუსეთმა, აზერბაიჯანმა და სომხეთმა. დღეს ამას დაემატა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია.***

— შედარებისთვის ბევრი ანალოგიის მოყვანა შეიძლება. რა პრობლემებიც არსებობდა თავდაცვის სტრატეგიის საკითხებში მაშინ, არსებობს დღესაც, მაგრამ დღევანდელი სიტუაცია გაცილებით ხელსაყრელია საქართველოსთვის.

***— რა თვალსაზრისით?***

— მაშინ საერთოდ დასავლეთის, ევროპის დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ერთგვაროვანი არ იყო. დღეს დასავლეთი ერთიანია. დასავლეთი წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებას. ისინი ერთხმად უჭერენ მხარს საქართველოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ რუსეთის პრობლემა გვაქვს, რომელიც არის მთავარი აგრესორი სახელმწიფო.

ახლა რუსეთი ცდილობს, ჩვენი დარჩენილი ტერიტორიები მცოცავი ოკუპაციითა და ჰიბრიდული ომით დაიკავოს. დღეს, როგორც 1918-21 წლებში, მთავარი მომენტი იგივე დარჩა.

***— რას გულისხმობთ?***

— იმას ვგულისხმობ, რომ არ აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიული რუსეთია თუ არადემოკრატიული, ელცინის დემოკრატიული რუსეთიც და დენიკინის თეთრგვარდიული რუსეთიც, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა, რომ რუსული საზოგადოების ლიბერალური იდეების გამომხატველი იყო, ისევე ებრძოდნენ საქართველოს, როგორც დღეს პუტინი ებრძვის.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ელცინის მთავრობის გამო ჩვენ დავკარგეთ აფხაზეთი 1993 წლის 27 სექტემბერს. ცხინვალის რეგიონშიც სოჭის ხელშეკრულება ცალმხრივად დაირღვა. ეს ხელშეკრულება ჩვენთვის ხაფანგი აღმოჩნდა

ასევე დემოკრატიული ელცინის ხელისუფლების რანგით მეორე პირი, გენადი ბურბულისი, საქართველოში სამხედრო გადატრიალების მთავარი ორგანიზატორი იყო, რომლის დროსაც კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დაამხეს. ელცინმა საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოაწყო, დააფინანსა პუტჩისტები და აბრძოლა, რაც ბურბულისმა თვითონ მითხრა ვარშავაში, სადაც კონფერენციაზე ვიმყოფებოდი. სხვათა შორის, გენადი ბურბულისს ხელი არ ჩამოვართვი.

ბურბულისს ვუთხარი: თქვენ ხართ ის ადამიანი, რომელმაც სხვა ქვეყანაში მოახდინეთ სამხედრო გადატრიალება და ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანეთ-მეთქი. ამის თქმა არ მომრიდებია, მიუხედავად იმისა, რომ ბურბულისი ვარშავაში ჩამოვიდა, როგორც დემოკრატიული რუსეთის წარმომადგენელი და ის დიდი პატივით მიიღეს იმ ქვეყანაში.

***— სწორედ ხელისუფლების დამხობამ და ქვეყნის სამოქალაქო ომამდე მიყვანამ გამოიწვია საქართველოს ნგრევა და ტერიტორიების დაკარგვა. ისე ვერ მოგვერეოდნენ.***

— ბუნებრივია. დემოკრატიული და არადემოკრატიული რუსეთი იმიტომ შევადარე, რომ დღეს ჰგონიათ, რუსეთი დემოკრატიული თუ იქნება, ჩვენ პრობლემა არ გვექნება. პუტინის რუსეთი რას წარმოადგენს და ჩვენთვის რა ზიანის მოტანა შეუძლია, ისედაც გასაგებია.

როგორც ბოლშევიკური რუსეთი — ლენინისა და ტროცკის რუსეთი იყო მტრულად განწყობილი საქართველოს მიმართ, მათი მეშვეობით მოხდა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დასამარება, ასევე პუტინიც ცდილობს, საქართველოს დამოუკიდებლობა წაართვას, მოახდინოს ქვეყნის ოკუპაცია. მცოცავი ოკუპაციის, ჰიბრიდული ომის საშუალებით ახალი ოკუპაცია მოახდინოს.

დემოკრატიული რუსეთი თითქოსდა ჩვენი მოკავშირე იყო, თითქოსდა რუსეთი უნდა ყოფილიყო ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მებრძოლი, მაგრამ პირიქით მოიქცა, საქართველოს უმტრო. 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის გადატრიალება პირდაპირ ელცინის მთავრობის მიერ იყო დაფინანსებული.

1918-21 წლებშიც ასე იყო, ჩვენ წინააღმდეგ იბრძოდნენ თეთრგვარდიული დენიკინის რუსეთიც და წითელი ბოლშევიკური რუსეთიც. ისინი ერთმანეთს ეომებოდნენ, მაგრამ ორივეს ჰქონდა კონსენსუსი ჩვენთან დაკავშირებით. რუსეთი მონარქიული სახელმწიფო იქნებოდა თუ ბოლშევიკური, საქართველო ყველა შემთხვევაში რუსეთის შემადგენლობაში უნდა ყოფილიყო. დღესაც იგივე ვითარებაა.

***— ალბათ, ერთი კლასიკური ფორმულა არ არსებობს, მაგრამ რუსეთის აგრესიისაგან თავი როგორ უნდა დავიცვათ?***

— მაშინ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განწირული იყო. მაშინდელი ანტანტის სახელმწიფოებმა ჩვენ მიმართ ჯეროვანი ყურადღება არ გამოიჩინეს. პოლონეთმა, რომელიც ებრძოდა წითელ რუსეთს, უფრო მეტი დახმარება მიიღო და უფრო მეტად დაუდგნენ გვერდში პოლონეთს, ვიდრე საქართველოს. ამიტომ ქვეყანა რუსეთის პირისპირ მარტო აღმოჩნდა.

დღეს ჩვენ რუსეთის პირისპირ მარტო არ ვართ. ჩვენ გვაქვს დასავლეთის მხარდაჭერა. დღეს ამერიკა არის საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის დაცვის ფლაგმანი. ბრიტანეთი, საფრანგეთი, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები გვიჭერენ მხარს. ევროკავშირის წევრობასთან ახლოს ვართ. ასოცირების წევრობა ამის გარანტიაა.

დაგვრჩა ნატოში გაწევრიანება, რომელიც არის კოლექტიური თავდაცვის გაერთიანება. ჩვენი ნატოელი მეგობრებიც ყველანაირად ჩვენთან არიან, თუმცა აქაც არსებობენ სკეპტიკური სახელმწიფოები. იმედია, საქართველო ნატოს წევრი ყველა ვარიანტში გახდება.

ბოლოს და ბოლოს, საქართველო 1992 წელს გაეროს წევრად მიიღეს, რაც სერიოზული ნაბიჯია. 2008 წლის ომმაც ვერ შეძლო ჩვენი სუვერენიტეტის შეზღუდვა, თუმცა ტერიტორიები ოკუპირებული გვაქვს, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორებისა და ჩვენი მეგობარი ქვეყნების მხარდაჭერით ხორციელდება არაღიარების პოლიტიკა.

დასავლეთი და მთლიანად საერთაშორისო საზოგადოება, გარკვეული გამონაკლისების გარდა, ყველანაირად ჩვენ გვერდით არიან და დიდი ძალისხმევით იცავენ ჩვენს სუვერენიტეტს.

# ირმა ჭკადუა: „ნეკა დოროყაშვილმა ნიკა ბასილაშვილს აშშ-ის ღია პირველობაზე სკანდალი მოუწყო“

## „ნიკა ბასილაშვილმა ნეკაზე იძალადა მაშინ, როცა ნეკა ბავშვიანად ეზოდან გარბოდა“

ოჯახურ ძალადობაში ბრალდებული ცნობილი ჩოგბურთელის, ნიკოლოზ ბასილაშვილის ადვოკატმა „ღამის კურიერის“ პირდაპირ ეთერში განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი მომჩივანი მხარისგან, ყოფილი ცოლისგან მუდმივი ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ იყო.

ადვოკატმა ხაზი გაუსვა, რომ ნეკა დოროყაშვილს არ სურდა ნიკოლოზ ბასილაშვილთან განქორწინება.

– 2018 წლის აგვისტოდან წყვილი ერთად არ ცხოვრობს და 2019 წლიდან ისინი ოფიციალურად განქორწინდნენ. განქორწინების ინიციატორი გახლდათ ბატონი ნიკოლოზი. ამას ხაზს ვუსვამ იმიტომ, რომ თუკი ის იყო მოძალადე ადამიანი, მოძალადესთან რატომ არ სურდა ქალბატონ ნეკას განქორწინება. სანამ არ მიმართა სასამართლოს განქორწინებისთვის, რომელიც შეიძლებოდა, მარტივად მოგვარებულიყო იუსტიციის სახლში, მსგავსი არ მომხდარა. არც ერთ პროცესზე არ განუცხადებია, რომ ის იყო ძალადობის მსხვერპლი – უფრო მეტიც, არსებობს საოქმო ჩანაწერები, სადაც ამბობს, რომ ნიკოლოზი იყო ძალიან კარგი მამა, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი თქმით, ნეკა დოროყაშვილმა ამერიკის ღია ჩემპიონატზე ყოფილ მეუღლეს სკანდალიც მოუწყო.

– 2019 წელს, როდესაც ბატონ ნიკოლოზს ჰქონდა ამერიკის ღია ჩემპიონატი, კონსპირაციულად ჩავიდა ქალბატონი ნეკა და ბატონი ნიკოლოზის მეგობრის მეუღლის დახმარებით გაიარა აკრედიტაცია, შევიდა მოსასვენებელ სივრცეში და იქ მოუწყო არასასიამოვნო საუბარი, კონფლიქტი, სადაც იყო საუბარი, რომ ის განქორწინებას არ დასთანხმდებოდა და მისთვის უნდა გადაეფორმებინა გარკვეული ქონება, თუმცა ამის გადაფორმებაზე პრობლემა არასდროს ჰქონია. იმდენად გამოიყვანა წყობიდან ნიკოლოზი, რომ იძულებული გახდნენ, ჩარეულიყვნენ ორგანიზატორები, ჩემპიონატის დირექტორი, რომელიც ამას დაადასტურებს. პრაქტიკულად, სკანდალი იყო, მას გაუუქმეს აკრედიტაცია და მოგვიანებით ისევ ნიკოლოზ ბასილაშვილის ხარჯებით მან დატოვა ამერიკის შეერთებული შტატები.

ბუნებრივია, ჩვენ ამ მტკიცებულებებსაც წარვადგენთ. ბატონი ნიკოლოზი ბოლო პერიოდის განმავლობაში დაკავებული იყო იმით, რომ დაეკმაყოფილებინა ქალბატონი ნეკა დოროყაშვილის კაპრიზები და, გარდა ამისა, ყველა ჩემპიონატის წინ ის ცდილობდა, გამოეყვანა წყობილებიდან. რეალურად, ნიკოლოზ ბასილაშვილი მუდმივად იმყოფებოდა წნეხის ქვეშ, რაც აისახა მის თამაშებზე, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

სხვა პოზიცია აქვს ნეკა დოროყაშვილის მხარეს. ადვოკატმა ანა აბაშიძემ დეტალურად აღწერა ეპიზოდი, როდესაც, ბრალდების მხარის მტკიცებით, ძალადობის ფაქტი მოხდა.

ანა აბაშიძემ განაცხადა, რომ ნიკოლოზ ბასილაშვილისა და ნეკა დოროყაშვილის 5 წლის ბავშვმა ყველაფერი დაინახა და მისი ჩვენება მტკიცებულების სახით დართული აქვს საქმეს.

– ბატონი ნიკოლოზი მივიდა დედის სახლში, სადაც ბავშვი ეზოში იყო, თამაშობდა და სთხოვა, წავიყვანო. კი ბატონო, მისი მონახულების დღე იყო, ხელი არავის შეუშლია. უბრალოდ, ბავშვი არ მიჰყვებოდა მამას და ითხოვდა დედასთან წასვლას.

ამ დროს ქალბატონი ნელი რეკავს სოციალურ მუშაკთან. ამოღებულია ეს ზარი და დევს საქმეში. რეკავს და ეუბნება, მამას არ მიჰყვება და რა გავაკეთო, თქვენ ხომ არ გაჰყვებოდით, რომ დაეხმაროთ ურთიერთობაში, რადგან ყველამ იცის, რომ გართულებულია ურთიერთობა, ერთი ღამეც არ დარჩენილა ბავშვი მამასთან არასოდესო. სოცმუშაკმა უთხრა, მე არ ჩავერევი და უთხარი, რომ მას მიაკითხავო. ასეც მოხდა. ბავშვი გაჰყვა მამას ეზოდან. გარკვეული დროის შემდეგ ბასილაშვილი ურეკავს ქალბატონ ნელის და სთხოვს, რომ ტანსაცმელი მიაწოდოს შვილს.

აიღო ქალბატონმა ნელიმ ტანსაცმელი და სწორედ ამ მიზნით მიდის ნიკოლოზთან, არ შედის ეზოში, ეძახის, რომ გარეთ გამოვიდეს. ამის შემდეგ რა ხდება – გამოდის ნიკოლოზი, ბავშვს სვამს მანქანაში, მანქანას კეტავს და აპირებს წასვლას. როცა დედა ეკითხება, სად მიგყავს ბავშვიო, ეუბნება, რომ ვიღაცასთან (სახელს არ ვიტყვი). ამ დროს ბავშვი ითხოვს მანქანიდან გადმოსვლას და დედასთან უნდა. ბავშვი იმდენად ითხოვს დედასთან, აღელდა, ტირილი დაიწყო.

მოწმე ვინ იქნება – გამოვიყენებთ ბატონი ბასილაშვილის მშობლებს მოწმედ, რომლებზეც ორდერია გამოცემული? მოწმე, იცით, ვინ არის ამ სიტუაციაში? თვითმხილველი მოწმე – 5 წლის ბავშვი, რომელმაც ეს ყველაფერი ილაპარაკა, – განაცხადა ადვოკატმა.

ანა აბაშიძემ იმაზეც ისაუბრა, თუ რატომ გამოიწერა ორდერი ნიკოლოზ ბასილაშვილის მამაზე და კონკრეტულად რა ეპიზოდში იძალადა ნიკოლოზ ბასილაშვილმა ყოფილ მეუღლეზე.

– როდესაც ბავშვი ითხოვს დედასთან გადმოსვლას, ბატონი ნიკოლოზი კარს არ აღებს, ბავშვი ვარდება ისტერიკაში, ხდება ცუდად, დედას გადმოჰყავს ეს ბავშვი, შეჰყავს ეზოში ატირებული, ისტერიკაში მყოფი ბავშვი, რომ მივიდეს წყალთან და დაალევინოს, დაამშვიდოს. ეს არის მიზანი, რისთვისაც შედის ამ სივრცეში და არა შეჭრა.

ამ დროს ხდება ბაბუის ეპიზოდი – როდესაც ხედავს ადამიანებს თავის საკუთრებაში, კამერებზე ეს არ არის დაფიქსირებული, რადგან კამერა არ უყურებს ეზოს. ამ დროს ბატონი ნიკოლოზის მამა იწყებს გინებას ბავშვისა და დედის მიმართულებით და ყვირილს, რომ გავიდნენ მისი ეზოდან. ამ დროს ხელში იღებს გარკვეულ ნივთს, ემუქრება და მოემართება გინებით. ეს ესმოდა ბატონ ბასილაშვილსაც და ამის გამო ძალიან აღელვებული იყო.

ამის შემდეგ დედა ჰკიდებს ბავშვს ხელს, იხუტებს და გამორბის სახლიდან, იმიტომ, რომ მუქარაა, პრაქტიკულად, ფიზიკური დაზიანების. ამ გამოსვლის დროს აყენებს სწორედ ბატონი ნიკოლოზი ფიზიკურ შეურაცხყოფას. ბავშვი მათთან ერთად არის ამ დროს და ამას ყვება, – განაცხადა ადვოკატმა.

ანა აბაშიძემ „ღამის კურიერში“ იმაზეც ისაუბრა, რომ ბასილაშვილის ოჯახს თავის დროზე ჰქონდა ნეკა დოროყაშვილის პირადი ცხოვრების შეზღუდვის მოთხოვნა და განქორწინების საქმეებს არა ნიკოლოზ ბასილაშვილი, არამედ დედამისი კურირებდა.

– ძალიან საინტერესო დეტალია და ამით ბატონი ნიკოლოზისა და მისი ოჯახის წევრების მსოფლმხედველობასაც გაარკვევთ. როდესაც ისინი ავიდნენ ქალბატონი ნელის სახლში, მოითხოვეს განქორწინება კონკრეტული პირობით, 7 წლის განმავლობაში ქალბატონ ნელის არ უნდა ექორწინა, – განაცხადა ანა აბაშიძემ.

მისი თქმით, პირადი ცხოვრების შეზღუდვის მოთხოვნას არავინ დაეთანხმა და ცოტა ხანში ნიკოლოზ ბასილაშვილის დედამ, რომელსაც გენერალური მინდობილობა ჰქონდა, დაიწყო დავა ბავშვსა და განქორწინებაზე.

# პოლიციამ ბათუმში 30 პირი დააკავა

გუშინ, 27 მაისს, პოლიციამ ბათუმში აქციის დროს 30 პირი დააკავა.

ამის შესახებ ნათქვამია შსს-ს განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, 7 მაისს დაკავებული 2 პირის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა, ბრალდებულების გათავისუფლების მოთხოვნით, ბათუმში საპროტესტო აქცია გამართეს, რომლის მსვლელობისას შეეცადნენ ცენტრალური გზის გადაკეტვას.

უწყებაში განმარტავენ, რომ პოლიციის არაერთი კანონიერი მოთხოვნის მიუხედავად, აქციის მონაწილეებმა გააგრძელეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და ძალადობრივი მეთოდებით შეეცადნენ გზის გადაკეტვას.

ამასთან, როგორც განცხადებაშია აღნიშნული, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, შინაგან საქმეთა სამინისტრო ასაჯაროებს კადრებს, სადაც, მათი განმარტებით, ასახულია ხულიგნობის ფაქტი, რის საფუძველზეც მიმდინარე წლის 7 მაისს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბათუმში 2 პირი დააკავეს, ხოლო 4 პირს წარედგინა ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 239-ე მუხლით. უწყების ცნობით, დაკავებულები ამ დროისთვის იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში.

„დღეს დაკავებულების ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ბრალდებულების გათავისუფლების მოთხოვნით ბათუმში საპროტესტო აქცია გამართეს, რომლის მსვლელობისას შეეცადნენ ცენტრალური გზის გადაკეტვას. პოლიციის არაერთი კანონიერი მოთხოვნის მიუხედავად, აქციის მონაწილეებმა გააგრძელეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა და ძალადობრივი მეთოდებით შეეცადნენ გზის გადაკეტვას.

პოლიციის მიერ ბათუმში მიმდინარე აქციის დროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე (სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა) და 166-ე (წვრილმანი ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთვის სულ დაკავებულია 30 პირი“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## ქუთაისში მამის მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა

ქუთაისში მამის მკვლელობაში ბრალდებულ მამაკაცს პატიმრობა შეეფარდა.

სხდომა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში დისტანციურად გუშინ, 27 მაისს, გაიმართა. დაკავებულის ადვოკატ ირაკლი შენგელიას თქმით, მოლოდინი ჰქონდათ, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი სასამართლოს დასრულებამდე აღკვეთის ღონისძიების გარეშე დარჩებოდა, რადგან საქმეში არსებული გარემოებები ამის შესაძლებლობას ტოვებდა.

როგორც ადვოკატი აცხადებს, დაცვის მხარემ პროცესზე 10.000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობაც დააყენა, თუმცა მოსამართლემ ეს არ გაითვალისწინა.

დაცვის მხარე გადაწყვეტილების გასაჩივრებასა და მუხლის გადაკვალიფიცირებას მოითხოვს. ადვოკატი აცხადებს, რომ დაკავებული მამის მიერ ნაცემია. მას სხეულზე დაზიანებებიც აქვს და ის იძულებითი მოგერიების მიზნით თავს იცავდა.

რაც შეეხება დაკავებულს, ადვოკატის თქმით, ის ფაქტს აღიარებს და მომხდარს ინანიებს.

## ავარია ბათუმში

### დაღუპულია ახალგაზრდა კაცი

ავარიას ბათუმში ახალგაზრდა კაცი ემსხვერპლა.

შემთხვევა აეროპორტის გზატკეცილზე მოხდა. ბიჭს მაღალი სიჩქარით მოძრავი მანქანა მაშინ დაეჯახა, როცა იგი გზის გადაკვეთას ცდილობდა.

ადგილზე მისულ ექიმების ჯგუფს მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

შს სამინისტროს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო – ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## გიორგი გახარია: „პოლიციელები იყვნენ ეპიდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე და მათ ეკუთვნით მადლობა“



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ეპიდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა, მადლობა გადავუხადო შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ ღონისძიებებისთვის, რომლებიც გაატარა პანდემიასთან ბრძოლის თვალსაზრისით. ამაში იყო ჩართული 10.000 ქართველი პოლიციელი და ისინი ამაგრებდნენ 130-ზე მეტ ბლოკპოსტს. არაფერს ვამბობ კომენდანტის საათისა და სხვადასხვა სახის მათთვის არასპეციფიკური ფუნქციების შესრულების თვალსაზრისით. ეს ხალხი იყო ბრძოლის წინა ხაზზე. ეს ხალხი იყო ეპიდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე და, რა თქმა უნდა, მათ ეკუთვნით უღრმესი მადლობა“, – განაცხადა გახარიამ პარლამენტში გამოსვლისას.

# მოსყიდვა, ქრთამის აღება, ყალთაბანდობა

## რას ედავება ბენიამინ ნეტანიაჰუს გამოძიება

ბენიამინ ნეტანიაჰუ ისრაელის პირველი მოქმედი პრემიერია, რომელიც განსასჯელის სკამზე მოხვდა. ნეტანიაჰუს ყალთაბანდობასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებას სდებენ ბრალად. პრემიერი, ბუნებრივია, ყველაფერს უარყოფს.

ნეტანიაჰუს მიმართ სამი სერიოზული ბრალდებაა.

პირველი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაა. პრემიერს ჰოლივუდელი ვარსკვლავებისა და ავსტრალიელი მილიონერისგან საჩუქრების მიღებაში ადანაშაულებენ. როგორც აცხადებენ, ნეტანიაჰუსა და მისი ოჯახის წევრებს ძვირადღირებული სიგარები, შამპანური, თვითმფრინავის ბილეთები მიართვეს. მთლიანად ამ საჩუქრების ღირებულება 230.000 ევროს ტოლფასია. ამავე დროს, გამოძიებამ ვერ დაადგინა, რით დაიმსახურა ეს საჩუქრები ისრაელის პრემიერმა.

მეორე ბრალდება ისრაელის ერთ-ერთი მთავარი გაზეთის მფლობელის მოსყიდვაა, რათა გარკვეული თანხის სანაცვლოდ ნეტანიაჰუსთვის რეკლამა გაეწიათ.

მესამე ბრალდება ისრაელელ მედიამაგნატ შაულ ელოვიჩთან კავშირია. ელოვიჩი ისრაელის უმსხვილესი ტელეკომპანიის, „ბეზეკის“ აქციონერია. ბრალდება ამტკიცებს, რომ მას და ნეტანიაჰუს შორის შეთანხმება არსებობდა და ისინი ერთმანეთს გარკვეულ სამსახურს უწევდნენ.

სამივე ბრალდება ცალკე სისხლის სამართლის საქმედაა გამოყოფილი, რომელიც ისრაელის მოქმედი პრემიერის წინააღმდეგაა აღძრული.

სასამართლო ამა წლის მარტში უნდა დაწყებულიყო. პანდემიის გამო ის მაისის ბოლოსთვის გადაიდო.

ისრაელის მოქალაქეთა ნაწილი პრემიერის წინააღმდეგ აქციებს მართავს, ნაწილი კი მას მხარს უჭერს.

– ყველა ბრალდება თითიდანაა გამოწოვილი, – ამტკიცებენ ისინი.

ნეტანიაჰუს საკუთარი ელექტორატი ნამდვილად ჰყავს. ამაზე მიუთითებს ის, რომ მან არჩევნებში წარმატებას რამდენიმეჯერ მიაღწია. მართალია, მოპოვებული ხმები საშუალებას არ აძლევდა, მთავრობა დამოუკიდებლად დაეკომპლექტებინა, მაგრამ უდავოა ერთი: ისრაელის პრემიერი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და გავლენიანი პოლიტიკოსია.

ეჭვს არც ის იწვევს, რომ ნეტანიაჰუმ თავისი სამშობლოსთვის ბევრი გააკეთა. მისი ოპონენტი განციც იძულებული გახდა, კომპრომისზე წასულიყო. ვადამდელი არჩევნები რამდენიმეჯერ ჩატარდა, მაგრამ განცმა ნეტანიაჰუს დამარცხება ვერ შეძლო და იძულებული გახდა, შეთანხმებაზე წასულიყო: განცი და ნეტანიაჰუ პრემიერის პოსტს რიგრიგობით დაიკავებენ.

## ჩუვაშეთის პრეზიდენტმა პუტინს სასამართლოში უჩივლა

ჩუვაშეთის პრეზიდენტი მიხეილ იგნატიევი თანამდებობიდან გათავისუფლდა. ფორმულირება ფრიად ორიგინალური იყო: ნდობის დაკარგვის გამო.

იგნატიევმა პასუხად პუტინს რუსეთის უმაღლეს სასამართლოში უჩივლა.

– მე ჩუვაშმა ხალხმა ამირჩია! ჩემი გადაყენება კი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე მოხდა, – განუცხადა ჟურნალისტებს იგნატიევმა.

ჩუვაშეთის ავტონომიური რესპუბლიკის პრეზიდენტი მედვედევის კადრად ითვლება. ხელისუფლებაში ის 2010 წელს მოვიდა, როცა რუსეთის პრეზიდენტი მედვედევი იყო.

იგნატიევი თავდაპირველად ჩუვაშეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო. შემდგომში მან საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა.

დღეს პუტინი მედვედევის კადრებს დაერია. ბევრმა მათგანმა, მათ შორის ჩუვაშეთის პრეზიდენტმაც, პოსტი დატოვა.

იგნატიევი ამას არ შეეგუა და პუტინს სასამართლოში უჩივლა.

## რუსებმა ლიბიაში საბრძოლო თვითმფრინავები გადაისროლეს

ლიბიაში პრორუსი მეამბოხის, ბლეფტერის, არმია მარცხს მარცხზე განიცდის. დიდი დანაკარგია რუს დაქირავებულებს შორისაც, რომლებიც ფირმა ვაგნერმა გაწვრთნა და აღჭურვა.

ფირმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროსთან მჭიდროდ თანამშრომლობს და, ფაქტობრივად, მისი შემადგენელი ნაწილია, თუმცა ფორმალურად დამოუკიდებლად მოიხსენიება.

აშშ-ის დაზვერვის ინფორმაციით, რუსეთმა ლიბიაში საბრძოლო თვითმფრინავები გადაისროლა. ისინი სირიის რუსულ ბაზაზე დაეშვნენ.

თვითმფრინავები გადაღებეს, რათა მათ რუსეთისადმი კუთვნილებას ვერავინ მიმხვდარიყო, თუმცა ეს ბავშვური ოინი არ გამოუვიდათ.

## ჰონგ კონგში საპროტესტო აქციებზე 300 დემონსტრანტი დააკავეს

ჰონგ კონგში საპროტესტო აქციებზე 300 დემონსტრანტი დააკავეს.

სამართალდამცველები მომიტინგეებისადმი „ნულოვან ტოლერანტობას“ იჩენენ.

ჩინეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსახლეობის ნაწილი ახალ კანონებს აპროტესტებს. კერძოდ, რამდენიმე დღის წინ ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰონგ კონგში ახალი ეროვნული უსაფრთხოების კანონის შესახებ განაცხადა. ამასთან, მომიტინგეების პროტესტს იწვევს ახალი კანონის განხილვაც, რომლის თანახმადაც, ჩინეთის ჰიმნისადმი უპატივცემულობა დასჯადი ხდება და მისი სწავლების ვალდებულება სკოლებს ეკისრებათ. ჩინეთის ადმინისტრაციულ რეგიონში პეკინის გადაწყვეტილებებს ავტონომიისთვის საფრთხედ მიიჩნევენ. მათი თქმით, მსგავსი ქმედებებით „ერთი ქვეყანა – ორი სისტემის“ შეთანხმებული პრინციპი ირღვევა.

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ოფიციალური პეკინის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შარშან ჰონგ კონგში მიმდინარე ფართომასშტაბიანი აქციების საპასუხოდ იქნა მიღებული.

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს უკვე გამოეხმაურა ვაშინგტონი.

პრეზიდენტ ტრამპის თქმით, ამერიკას მძაფრი რეაქცია ექნება, თუ ჩინეთის ხელისუფლება ჰონგ კონგისადმი არსებულ განზრახვებზე უარს არ იტყვის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ქალმა უზარმაზარი ზუთხი დაიჭირა

კანადელმა თევზაობის მოყვარულმა ქალმა მდინარე ასინიბოინში უზარმაზარი ტბის ზუთხი დაიჭირა.

კანადის მანიტობის შტატის მკვიდრი პეტ მაკენზი ამტკიცებს, რომ თევზაობამ გასულ წელს გაიტაცა. ჩვეულებრივ, ქალი კობრებს იჭერდა, მაგრამ ამ ჯერზე არ უმართლებდა: ექვსი საათის განმავლობაში ვერაფერი დაიჭირა. თევზი ანკესზე დაახლოებით საღამოს ხუთ საათზე წამოეგო, როდესაც ქალი უკვე სახლში დაბრუნებას აპირებდა.

მაკენზის 25 წუთი დასჭირდა იმისთვის, რომ თევზი ნაპირამდე მიეყვანა. იქ კი აღმოაჩინა, რომ ზუთხი იმდენად დიდი ზომის იყო, თავისი თევზის ამოსაყვანი ტომარა ბადით ვერ ამოიყვანდა. მას ამისთვის სხვა მეთევზის დახმარება დაჭირდა.

– არ მჯეროდა, რომ ის მართლაც ასეთი უზარმაზარი იყო, – ამტკიცებს ქალი, – გაოგნებული ვიყავი.

ზუთხის გაზომვისა და მასთან ფოტოსურათის გადაღების შემდეგ ქალმა თევზი მდინარეში დააბრუნა.

თევზის სიგრძეს 138 სანტიმეტრი შეადგინა. მდინარე ასინიბონში დაჭერილი ყველაზე დიდი ზუთხის სიგრძე ქალის მიერ დაჭერილს მხოლოდ ორი სანტიმეტრით აღემატებოდა.

## უზარმაზარმა კატამ ექვსკილოგრამიანი ვარანი მოინადირა

ავსტრალიის ნაკრძალში მეცნიერებმა ვიდეოკამერაზე დააფიქსირეს უზარმაზარი გარეული კატა, რომელსაც კბილებში ქვიშის ვარანი ეჭირა.

ველური ძაღლის დინგოს ზომის კატა ავსტრალიის სიმპსონის უდაბნოში მის მიერ მცირე ხნის წინ მოკლულ ვარანთან ერთად შენიშნეს. ცხოველი ველური ბუნების გადასაღებად დაყენებულმა კამერებმა დააფიქსირეს.

სიდნეის უნივერსიტეტის მკვლევარი ემა სპენსერი გაოგნებული დარჩა, როდესაც ნახა, თუ როგორ მიჰქონდა გარეულ კატას ასეთი დიდი მტაცებელი.

– ხშირად ვერ ნახავ, როგორ იჭერენ კატები ასეთ მსხვილ ნადავლს, – განაცხადა მეცნიერმა.

## მამაკაცი კბილის ექიმთან ვიზიტის შემდეგ გამდიდრდა

ავსტრალიის კვინსლენდის შტატის ქალაქ კეპერის მკვიდრმა კბილის ექიმთან ვიზიტის შემდეგ ლატარიის ბილეთი იყიდა და გამდიდრდა.

ლატარიის გამარჯვებულის თქმით, მას გუნება ჰქონდა წამხდარი იმის გამო, რომ ექიმმა კბილი ამოუღო და გადაწყვიტა, ის იღბლიანობისთვის ტომსიკაში შეენახა. კბილის ექიმთან ვიზიტის შემდეგ განწყობის ასამაღლებლად მან გადაწყვიტა, ბედი ლატარიის გათამაშებაში ეცადა თავისი ახალი თილისმის იმედით. შედეგად მამაკაცმა იმავე დღეს გამართულ გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ მილიონი ავსტრალიური დოლარი შეადგინა. მოგებული თანხით ის სასამართლოსგან საკუთარი სახლის გამოსყიდვასა და ოჯახის დახმარებას აპირებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ქალმა მილიონ ევროდ ღირებული პიკასოს ნახატი მოიგო



იტალიელმა ქალბატონმა პაბლო პიკასოს ნახატი „ნატურმორტი“ მოიგო ლატარიაში, რომელიც კრისტის აუქციონის ფრანგული სახლის მიერ იყო ორგანიზებული. ნახატი მილიონ ევროდაა შეფასებული.

ლატარიაში მონაწილეობისთვის აუცილებელი იყო 100 ევროდ ღირებული ბილეთის შეძენა. გასული წლის შემოდგომაზე გასაყიდად 200 ათასი ბილეთი იქნა გამოტანილი, თუმცა გათამაშება ორჯერ გადაიდო.

ლატარიის ბილეთების გაყიდვიდან შემოსული თანხა ფრანგულ არასამთავრობო ორგანიზაცია „ზრუნვას“ გადაეცემა, რომელიც აფრიკაში წყლის ინფრასტრუქტურის მოწყობაზე ზრუნავს, მათ შორის მადაგასკარში, კამერუნსა და მაროკოში.

## ლომებისა და კამეჩების კატათაგვობანამ ტურისტები გაახალისა



სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ლომებისა და კამეჩების დაპირისპირებამ ტურისტები გაახალისა. ამის ამსახველი ვიდეო იუთუბიში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

კადრები დურბანელ ტუროპერატორს ეკუთვნის. ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ეპარება ლომების წყვილი კამეჩების მრავალრიცხოვან ჯოგს და გაქცევას აიძულებს, მაგრამ, როგორც კი მტაცებლები მათ ახლოს აღმოჩნდებიან, კამეჩები მობრუნდებიან და საპასუხო შეტევაზე გადადიან.

– ეს ისეთი სასაცილო და დაუჯერებელია, – ამბობს კადრს მიღმა ტურისტი ქალი. ლომები მათთვის უსაფრთხო მანძილზე გარბიან, რის შემდეგაც კიდევ ერთი თანამომძე უერთდებათ. სამეულმა ისე ცადა კამეჩებზე შეტევა. ისინი მათკენ გაიქცნენ. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, კამეჩები შეტრიალდნენ და კუნტრუშ-კუნტრუშით გაიქცნენ. ერთი სიტყვით, ლომებმა და კამეჩებმა კატათაგვობანას თამაში გამართეს.

მალე ძუ ლომებს ხვადიც შეუერთდა. ამგვარად, ცხოველებმა ერთმანეთის დევნა გააგრძელეს და თვითმხილველები გაამხიარულეს.

## გიენამ ტურისტების თვალწინ პითონს ნადავლი წაართვა

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში გიენამ იეროგლიფურ პითონს ტურისტების თვალწინ ნადავლი წაართვა. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბიში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის, 33 წლის გიდის ჯეისონ ჟუბერის თქმით, მისი ყურადღება მიიპყრო გიენამ, რომელიც მიზანდასახულად მიჰყვებოდა კვალს.

– აშკარა იყო, რომ ის ძალიან დაინტერესებული იყო, რისი კვალიც ჰქონდა აღებული და გარკვეული დროის განმავლობაში ადგილის შესწავლით იყო დაკავებული, – ყვება გიდი, – იქაურობის დათვალიერების შემდეგ გიენამ აღმოაჩინა იეროგლიფური პითონი, რომელიც ახალგაზრდა ანტილოპა იმპალაზე იყო შემოხვეული.

გველი ყურადღებით ადევნებდა თვალს მტაცებლის მიახლოებას. გიენა არ აჩქარებულა და დაელოდა, სანამ ქვეწარმავალი დაიღლებოდა, შემდეგ უფრო ახლოს მიეპარა, ნადავლი გამოსტაცა და წაიღო.

– აღფრთოვანებული დავრჩი, – ამტკიცებს ჟუბერი, – 13 წელია, გიდად ვმუშაობ, მაგრამ მსგავსი რამ აქამდე არასოდეს მინახავს!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებასაც. მკურნალობაში, თანამედროვე საშუალებების გარდა, ვიყენებ ქარხნულ „ერექტორებს“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს და უტყუარია სარგებლობის დროს. მისი ფასი სიმბოლურია და ღირს 50 ლარი. ტელ: 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

საზოგადოება

# გელა კანდელაკი 80 წლისაა

ჩრდილების თეატრის დამაარსებელი გელა კანდელაკი იუბილარია. კინორეჟისორს, პროდიუსერს, სცენარისტსა და მსახიობს 80 წელი შეუსრულდა.

გელა კანდელაკი არაერთი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმის რეჟისორია. მან გადაიღო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უბედურება“ დავით კლდიაშვილის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. იუბილარი რეჟისორის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „სოფელი“ კი საფრანგეთში, სორეზის დოკუმენტური ფილმების ფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა.

ხელოვანი თანამშრომლობს ფესტივალთან „თბილისი – თანამედროვე მუსიკის საღამოები“, რომლის ფარგლებში არაერთი მულტიმედიური წარმოდგენის თანაავტორია. გელა კანდელაკმა თანამშრომლობაზე უარი არც ქორეოგრაფ მარიამ ალექსიძესთან თქვა, რომელთან ერთადაც რამდენიმე თანამედროვე ქორეოგრაფიული წარმოდგენის რეჟისორია.

ნიქოზისა და ცხინვალის მიტროპოლიტ ისაიასთან ერთად კი ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალის „ნიქოზის“ დამფუძნებელია.

გელა კანდელაკი წლების განმავლობაში ეწეოდა და აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოსა და უცხოეთში და არის რამდენიმე ფესტივალის ჟიურის წევრი.

27 მაისი გელა კანდელაკის მიერ დაარსებული ჩრდილების თეატრის დაბადების დღეცაა. 1991 წლის 27 მაისს მათი პირველი სპექტაკლის „წელიწადის ოთხი დროს“ პრემიერა შედგა პარიზში. ყველაფერი კი 38 წლის წინ თბილისში დაიწყო, როცა გელა კანდელაკმა სხვადასხვა პროფესიის ახალგაზრდები შეკრიბა. თოჯინების არქონისა და უსახსრობის გამო ჩრდილები გაახსენდათ და ხელის ჩრდილების თეატრი „ბუდრუგანა“ შექმნეს, რომელიც უნიკალური აღმოჩნდა მთელ მსოფლიოში.

დღეს „ბუდრუგანას“ საქმეს „ბუდრუგანა-გაგრა“ აგრძელებს, რომლის ბირთვიც გელა კანდელაკმა შეკრიბა აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი ახალგაზრდებისგან. თეატრმა დღემდე 40-მდე ქვეყანა და საქართველოს მრავალი ქალაქი თუ სოფელი მოიარა.

27 მაისი კიდევ ერთ აღსანიშნავ მოვლენასთანაა კავშირში. 4 წლის წინ ამ დღეს „დაიბადა“ „ბუდრუგანა-ლიეტუვა“ – „ბუდრუგანა-გაგრას“ შვილობილი ხელის ჩრდილების თეატრი. ლიტველ მსახიობთა დასი 2 წლის განმავლობაში თბილისში ეუფლებოდა ჩრდილების ხელოვნებას გელა კანდელაკის ხელმძღვანელობით.

პრეზიდენტმა დალია გრუბაუსკაიტემ გელა კანდელაკს ორი წლის წინ საპატიო ორდენი გადასცა ლიეტუვური კულტურის წინაშე დამსახურების გამო.

იუბილარი ხელოვანი თავს ყველაზე კარგად შემოქმედებითი მუშაობის დროს გრძნობს: გადაღებებზე, რეპეტიციებზე, ანიმაციურ ფილმებზე მუშაობისას.

ახლა სულხან-საბას იგავების მიხედვით ჩრდილების ახალ სპექტაკლზე მუშაობს.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# რევაზ ჭანტურია: „მაკედონიაში ქართველებს კარგი სახელი გვაქვს“

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების ვეტერანი, რევაზ ჭანტურია, 31 მაისს 38 წლის გახდება. რეზო ხელბურთში 12 წლიდან არის – კარიერა სტუ-ში დაიწყო, საიდანაც ჯერ უკრაინულ ზაპოროჟიეში გადავიდა, რასაც 2004 წლიდან მაკედონიური ვოიაჟი მოჰყვა: მეტალურგი, ვარდარი, სტრუმიცა, პელისტერი; საქართველოს ნაკრებში თამაშობს 2002 წლიდან.

ასაკის მიუხედავად, მას ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა სკოპიეს მეტალურგში და ჯერაც არ აპირებს მოთამაშის კარიერის დასრულებას.

***– რა სიტუაციაა მაკედონიაში?***

– როგორც ყველგან, სახლში ვართ. აქ საკმაოდ მძიმე სიტუაცია იყო, ამასწინათ საგანგებო მდგომარეობა 15 დღით გააგრძელეს. საღამოს 7 საათის შემდეგ გარეთ გასვლა აკრძალულია. ოჯახში ყველაფერი კარგადაა.

***– რა ვითარებაა მაკედონიის ჩემპიონატში?***

– ჩემპიონატი შეწყდა და აღარ განახლდება. ჩემპიონი არ გამოვლენილა, განაწილდა ევროტურნირების საგზურები მომდევნო სეზონისთვის. ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს სკოპიეს ვარდარი, ევროპის ლიგაზე – პელისტერი, ჩემი და ირაკლი კბილაშვილის მეტალურგი და ასევე – სკოპიე. თუ პელისტერმა ჩემპიონთა ლიგის ვაილდ ქარდი მიიღო, მაშინ ევროპის ლიგაზე მესამე გუნდი ლექსო წითელიშვილის ოჰრიდი იქნება.

***– მომავლის გეგმები როგორი გაქვს?***

– ჯერჯერობით თამაშისთვის თავის დანებებას არ ვაპირებ. სურვილი მაქვს, მინიმუმ ერთი წელი კიდევ ვითამაშო, თუმცა ჯერ არ ვიცი, სად. მეტალურგთან კონტრაქტი მაისის ბოლო მიმთავრდება. 2 კლუბიდან მაქვს შემოთავაზება და ყველაფერს ივნისში გადავწყვეტ. მთავარია, ტრავმები ავირიდო და კიდევ ვითამაშებ, თუ არადა, მაშინ გადავერთვები მწვრთნელობაზე.

***– სამწვრთნელო განათლების საქმე როგორ მიდის? ვიცით, რომ მაგ კუთხით უკვე ემზადები.***

– როცა დრო მაქვს ხოლმე, მაკედონიაში ყოველთვის ვესწრები მწვრთნელთა სემინარებს. უკვე გავლილი მაქვს 2 დონე, რაც ნიშნავს, რომ უკვე შემიძლია 18-წლამდელთა გუნდი ვავარჯიშო, როგორც კლუბი, ასევე ნაკრები. სულ სწავლების 4 მოდულია გასავლელი და ამის შემდეგ უნდა აიღო მასტერ-კოუჩის ლიცენზია, რომლის გარეშეც 2022 წლიდან ევროპაში მწვრთნელად ვეღარ იმუშავებ. 16-წლიანი პროფესიული კარიერა მაქვს გავლილი და 30-მდე მწვრთნელთან მიმუშავია. მათ შორის იყვნენ ლინო ჩერვარი, ვესელინ ვუიოვიჩი, იოვიცა ცვეტკოვიჩი და ბევრი სხვა ცნობილი მწვრთნელი. თითოეული მათგანისგან რაღაც მაქვს ნასწავლი. საინტერესოა, რომ მაკედონიურ სემინარებზე მარტო მე ვარ მოქმედი მოთამაშე.

***– სეზონი როგორ წარიმართა? როგორი კმაყოფილი არიან სხვა ქართველებით გუნდები?***

– კბილაშვილს სადებიუტო სეზონი ჰქონდა მეტალურგში და მისით ყველა კმაყოფილია. მან, წესით, დიდი ხელბურთი უნდა ითამაშოს. ლექსო წითელიშვილს შარშან ძალიან კარგი სეზონი ჰქონდა სტრუგაში და წელს ოჰრიდში გადავიდა, მაგრამ მხრის ტრავმა აწუხებდა, რის გამოც შეტევაში ნაკლებად უწევდა თამაში, დაცვაში კი შეუცვლელი ფიგურა იყო. მაკედონიაში ქართველებს, ტრადიციულად, კარგი სახელი გვაქვს – წარსულში აქ ძალიან ბევრ ცნობილ ქართველ ხელბურთელს უთამაშია. მეორე სეზონია, აქ თამაშობს საქართველოს ქალთა ნაკრების კაპიტანი მედეა ჩოხელიც, რომელიც ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო. მედეა ნამდვილი ლიდერი იყო თავისი გუნდის (კუმანოვო), რომელსაც ჩემპიონატის შეწყვეტის დროს 15-დან 15 მოგება ჰქონდა.

***– შენს კარიერაზეც გვითხარი – როგორ დაიწყე ხელბურთის თამაში, როგორ წახვედი უცხოეთში?***

– ხელბურთის თამაში დავიწყე 12 წლისამ სტუ-შევარდენში, სადაც მწვრთნელები იყვნენ ზაზა დოლიძე, ჯემალ ბარამიძე და ზურაბ კეკელიძე. მანამდე ფეხბურთს ვთამაშობდი 35-ე სკოლაში ოთარ შენგელიასთან, თუმცა მამაჩემი, უფროსი რეზო ჭანტურიაც, ხელბურთელი იყო, შემდეგ კი – მწვრთნელი და ხელბურთმა გადასძალა. მაკედონიაში ასეთ ვითარებაში მოვხვდი: 2004 წელს 2 ქართულ გუნდს უწევდა ევროტურნირებზე თამაში და ორივეს მაკედონიური კლუბი შეხვდა. მამაჩემის გუნდი, მამული, ცოტა ადრე თამაშობდა და შემომთავაზა, მათთან ერთად წავსულიყავი მაკედონიაში. პირველი ვარჯიშის სანახავად მოვიდნენ მეტალურგის მწვრთნელები – ლიუბჩო სავიცკი და ანდონ ბოშკოვსკი. ვარჯიშის შემდეგ მამას უთხრეს, რომ ცაცია მოეწონათ – ვინაა, რამდენი წლისააო და თამაშზეც თუ მოგვეწონა, დავიტოვებთო. მამამ უთხრა, ცაცია გარემარბი ჩემი შვილია, ოღონდ მამულის კი არა, შევარდენის წევრია და მეტალურგთან ვერანაირად ვერ ითამაშებსო... მაშინ, თამაშის შემდეგ დანიშნეს თავიანთი კლუბის სპეციალური ვარჯიში ჩემ გასასინჯად. იმ ვარჯიშზე სერიოზულად გამომცადეს და ცხვირიც კი გამიტეხეს, მაგრამ თავი მოვაწონე და დამიტოვეს. ასე მოულოდნელად დასრულდა მაკედონიაში, ფაქტობრივად, ექსკურსიაზე წასვლა. ზუსტად მახსოვს, იყო 2004 წლის 13 ოქტომბერი – ჩვენების ავტობუსი გავაცილე და დავრჩი, ისე, რომ სულ რამდენიმე დღის სამყოფი ტანსაცმელი მქონდა წაღებული. ახლა 2020 წელია და ისევ მაკედონიაში ვარ. აქ დავოჯახდი ბილიანა პეტკოვსკაზე და უკვე 10 წლის გოგონა, ირინა, გვყავს...

***– მაკედონიამდე უკრაინაშიც გითამაშია...***

– დიახ. 2004 წლის იანვრიდან მაისის ჩათვლით ზაპოროჟიეში ვიყავი. ზაპოროჟიე ძალიან ძლიერი კლუბი იყო. უკრაინის ნაკრების ხელბურთელების უმეტესობა იქ თამაშობდა, პლუს ბელარუსები – გორბოკი და ბროვკა. პირველ გუნდში ვერ მოვხვდი, მაგრამ ჰყავდათ მეორე გუნდიც, დნეპროპეტროვსკში, რომელიც ასევე უკრაინის ჩემპიონატში თამაშობდა. მთელი კვირა ძირითად გუნდთან ვვარჯიშობდი ხოლმე და კვირის ბოლოს დნეპროპეტროვსკში ვთამაშობდი.

***– 2 სეზონი ჩემპიონთა ლიგაში გაქვს ნათამაშები, 23 გოლიც გაგიტანია. გაიხსენე ის წლები და რომელიმე გამორჩეული მატჩი ლიგაში.***

– კი, 2 სეზონი ვითამაშე. 2006-07 წლის ჯგუფური ეტაპი: ფლენზბურგის, ზაგრებისა და ჩეხოვსკიე მედვედის წინააღმდეგ; 2008-09: ბარსელონა, კილი, დრამენი. ჩემპიონთა ლიგაზე ყველა თამაში გამორჩეულია, მაგრამ გამოვყოფდი ფლენზბურგის წინააღმდეგ მატჩს, სადაც მომიწია ჩემი საყვარელი ხელბურთელის, ლარს კრისტიანსენის წინააღმდეგ ბრძოლა, თან ის მარცხენა კუთხეში იდგა, მე – მარჯვენაში და ერთმანეთის წინააღმდეგ გვიწევდა თამაში, თან ამხელა ხელბურთელის ოსტატობით ვიღებდი სიამოვნებას და მეც ყველაფერი კარგად გამომივიდა – 5 გოლი გავიტანე. თავად კრისტიანსენმა შემაქო თამაშის შემდეგ. 2013 წელს უკვე ზომიმაკ-სტრუმიცას შემადგენლობაში შევხვდი გიორგი ცხოვრებაძის ახლანდელ გუნდს, მონპელიეს, რომლის კარშიც ლეგენდარული ტიერი ომაიერი იდგა. ის თამაშიც კარგად წამივიდა, ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეკარეს 5 გოლი გავუტანე და ის ბურთი ახლაც შენახული მაქვს. ჩემპიონთა ლიგაში თამაში ფასდაუდებელი გამოცდილებაა. მეტალურგი არ იყო ევროპის გრანდი, მაგრამ ყველას ვებრძოდით და ყველა მაშინდელი ვარსკვლავის, კარაბატიჩის, ჰანსენის, ტომასის, გარსიას წინააღმდეგ მითამაშია. კარგია, რომ ახლა ცხოვრებაძეს უწევს ამ უმაღლესი რანგის ტურნირზე გამოსვლა. ვისურვებდი, რომ რაც შეიძლება მეტი ქართველი გვენახოს ლიგაში. მეტალურგში ორჯერ გავხდი ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი; ვარდართან ერთად ევროპის თასის ნახევარფინალამდე მივედით და იქ მომავალმა გამარჯვებულმა, გერმანულმა გუმერსბახმა გამოგვადო; გარდა ამისა, ევროტურნირებზე მითამაშია სტრუმიცაში, პელისტერში და ევროპის ყველა დიდი გუნდის წინააღმდეგ გავსულვარ მოედანზე.

***– მაკედონიის საკლუბო ხელბურთში რა ფინანსებია?***

– კლუბს გააჩნია. ჩემპიონთა ლიგის ორგზის გამარჯვებულს, ვარდარს, ცხადია, სერიოზული სპონსორი ჰყავს. ასე იყო მეტალურგიც. დანარჩენები, ძირითადად, მუნიციპალური კლუბები არიან და დაფინანსების 80 პროცენტს ქალაქის მერიიდან იღებენ. ახლა ძალიან საინტერესო ბიზნეს-პროექტი აქვს პელისტერს, რომელიც ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე თამაშობდა, თან ეს ქალაქ ბიტოლას გუნდია, სადაც მთელი ქალაქი ხელბურთით ცხოვრობს. საერთოდ, მაკედონია სახელბურთო ქვეყანაა.

***– საქართველოს ნაკრებში გატარებული წლებიც გავიხსენოთ.***

– პირველად ეროვნულ გუნდში 2002 წელს ვითამაშე. პირველი გოლი ჰოლანდიაში გავიტანე ლევან გელაშვილის პასის შემდეგ, თბილისში – ავსტრიასთან. აქაც ბევრი კარგი ტურნირი მახსენდება: ევროპის უნივერსიადაზე გამარჯვება, ჩელენჯ-ტროფის 2 ფინალი და ერთი მოგება, კარგი სეზონი გვქონდა 2013-14 წლებში, როცა სპორტის სასახლეში ფინეთი, თურქეთი და ლიტვა დავამარცხეთ. ძლიერი შემადგენლობა გვყავდა: უკანა ხაზში 4 ორმეტრიანი მოთამაშე – ვლადიმერ რუსია, სერგო დათუკაშვილი, რატი მსხვილიძე, ირაკლი ჩიქოვანი. ამათ დაუმატეთ კარში შოთა თევზაძე და მეტოქე შეტევაში რომ იყო, ჩვენი კარი, ფაქტობრივად, არც ჩანდა ხოლმე. ძალიან მნიშვნელოვანი იყო შარშანდელი გამარჯვება ერთა თასზე, როცა შვიდივე თამაში მოვიგეთ. ახლა ნაკრებში 2 ვეტერანი, მე და შოთა თევზაძე დავრჩით, თუმცა ძალიან კარგი თაობა მოვიდა – ცხოვრებაძე, კალანდაძე, ორჯონიკიძე, კბილაშვილი, არსენაშვილი, დიხამინჯია, რუსტამოვი, გოგოლაძე... საშუალო თაობიდან ლექსო წითელიშვილი და ირაკლი ჩიქოვანი, რომელიც კიდევ დიდხანს დაგვეხმარება. ერთადერთი, მეკარის საკითხი მაფიქრებს – რა იქნება, როდესაც შოთა თევზაძე დაასრულებს კარიერას? თუმცა ძალიან კარგი მეკარეები არიან ზურაბ ცინცაძე, გიგა ტორონჯაძე, მათ არ ვაკნინებ, მაგრამ თევზაძე ძალიან ძლიერი მეკარეა...

***– როგორც ვიცით, მაკედონიის ნაკრებიდან გქონდა შემოთავაზება.***

– დიახ, 2007 წელს. ძალიან გაკვირვებული სახე მივიღე, მაგრამ მითხრეს, ახლა არ გვინდა პასუხი, მოიფიქრეო. ჩემი მთავარი მრჩეველი მამა იყო და ვკითხე. ვიცოდი მისი აზრი, მაგრამ მაინც მე მომანდო გადაწყვეტილების მიღება – პროფესიონალი ხარ და თავად მოიფიქრეო. მაკედონიას ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავს და შეიძლება, კარიერულ წინსვლაში დამხმარებოდა, მაგრამ მე ქართველი ვარ და არაფერს ვნანობ. 2013 წელს უკვე პრესიდან გავიგე, რომ ჩემი მოწვევის საკითხი ისევ იდგა, ბოლოს კი მაკედონიელმა ჟურნალისტებმა იხუმრეს – კარგი იქნებოდა, მაკედონიელთა ყველა სიძე ჩვენს ნაკრებში თამაშობდესო. ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი პატივი იყო მაკედონიის ნაკრებში მიწვევა. ბარემ აქვე ახალგაზრდებს ერთადერთი რჩევა მინდა მივცე: ნაკრებში ხშირად ისე მოდიან, თითქოს რომელიმე მორიგ ახალ კლუბში მიიწვიეს. ამ დროს ყველა სპორტსმენის კარიერაში ეროვნულ გუნდში მოხვედრა სრულიად გამორჩეული და განსაკუთრებული მოვლენა უნდა იყოს. ნაკრების წევრობა ძალიან საამაყოა, მაგრამ ძალიან დიდ პასუხისმგებლობას ითხოვს! ბოლოს, წარმატებები მინდა ვუსურვო ქართულ სპორტსა და ხელბურთს, ჩვენს ფედერაციასა და მის ხელმძღვანელებს, საქართველოს ნაკრებებს, ქართულ კლუბებს. მინდა, რომ სპორტის სასახლე ისევ გაივსოს ჩვენი ეროვნული გუნდის მატჩებზე და დიდი გამარჯვებებიც ვიხილოთ. მეც, რა თქმა უნდა, იქ ვიქნები, არა აქვს მნიშვნელობა, მოთამაშის, მწვრთნელისა თუ უბრალო გულშემატკივრის როლში.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ზივზივაძემ და გვილიამ ევროპაში გაიტანეს

ევროპაში ფეხბურთი ნელ-ნელა ბრუნდება და სასიამოვნოა, რომ ქართველებმა თავი უკვე გამოიჩინეს. ბუდუ ზივზივაძემ და ვალერიან გვილიამ უნგრეთისა და პოლონეთის თასზე საკუთარი გუნდისთვის საჭირო გოლები გაიტანეს.

ზივზივაძის მეზოკოვეშდი პირველად გავიდა უნგრეთის თასის ფინალში და ამაში ქართველი თავდამსხმელის დამსახურება უდიდესია.

მეზოკოვეშდს პირველი ნახევარფინალური მატჩი ვიდეოტონთან, შინ 1:1 ჰქონდა ნათამაშები. განმეორებით შეხვედრაში ზივზივაძემ თავისიანები მე-8 წუთზე დააწინაურა, 54-ე წუთზე კი მისი პასით ლასლო პეკარმაც გაიტანა. მართალია, მასპინძლებმა დარჩენილ დროში ანგარიშის გათანაბრება და შეხვედრის ფრედ, 2:2 დასრულება შეძლეს, მაგრამ 2 მატჩის ჯამში სტუმრად გატანილი მეტი გოლის წესით ფინალში მეზოკოვეშდი გავიდა.

ჩვენებურმა მოედანზე 72 წუთი დაჰყო – მწვრთნელმა ბოლოს აქცენტი დაცვაზე გადაიტანა.

3 ივნისს ფინალში ბუდუს გუნდი მტკ-ს შეხვდება, რომელმაც პენალტების სერიაში ჰონვედი დაამარცხა.

ვაკო გვილიას ლეგია კი პოლონეთის თასის ნახევარფინალში გავიდა. ქართველის გუნდმა მეოთხედფინალურ მატჩში ლეგნიცაში იქაური მიედზი 2:1 დაამარცხა.

ანგარიში მე-17 წუთზე სწორედ გვილიამ გახსნა – შორიდან ძლიერად გაისროლა და ლამაზი გოლი გაიტანა. გვილიას პირველი ტაიმის დასასრულსაც შეეძლო მეორედ გატანა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან ბურთი ძელს გაარტყა.

მწვრთნელმა ალეკსანდარ ვუკოვიჩმა გვილია 77-ე წუთზე შეცვალა.

რაც შეეხება პოლონეთის ჩემპიონატს, იქ გვილიას გუნდი ლიდერია და მეორეადგილოსან პიასტს 8 ქულით უსწრებს. პოლონეთში ჩემპიონატი 30 მაისს განახლდება და ლეგია პოზნანში ლეხს დაუპირისპირდება.

## შედეგები

**26 მაისი**

**ფეხბურთი**

**გეიმანია. ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დორტმუნდი-ბაიერნი | 0:1 |
| ლევერკუზენი-ვოლფსბურგი | 1:4 |
| აინტრახტი-ფრაიბურგი | 3:3 |
| ვერდერი-გლადბახი | 0:0 |

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 28 | 20 | 4 | 4 | 81-28 | 64 |
| 2.დორტმუნდი | 28 | 17 | 6 | 5 | 74-34 | 57 |
| 3.ლაიფციგი | 27 | 15 | 9 | 3 | 68-27 | 54 |
| 4.ლევერკუზენი | 28 | 16 | 5 | 7 | 53-34 | 53 |
| 5.გლადბახი | 28 | 16 | 5 | 7 | 53-34 | 53 |
| 6.ვოლფსბურგი | 28 | 11 | 9 | 8 | 40-34 | 42 |
| 7.ფრაიბურგი | 28 | 10 | 8 | 10 | 38-40 | 38 |
| 8.შალკე | 27 | 9 | 10 | 8 | 33-43 | 37 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 27 | 10 | 6 | 11 | 36-47 | 36 |
| 10.კიოლნი | 27 | 10 | 4 | 13 | 43-49 | 34 |
| 11.ჰერტა | 27 | 9 | 7 | 11 | 39-48 | 34 |
| 12.აუგსბურგი | 27 | 8 | 6 | 13 | 40-54 | 30 |
| 13.უნიონი | 27 | 9 | 3 | 15 | 32-47 | 30 |
| 14.აინტრახტი | 27 | 8 | 5 | 14 | 44-52 | 29 |
| 15.მაინცი | 27 | 8 | 3 | 16 | 36-60 | 27 |
| 16.ფორტუნა | 27 | 5 | 9 | 13 | 29-52 | 24 |
| 17.ვერდერი | 27 | 5 | 7 | 15 | 29-59 | 22 |
| 18.პადერბორნი | 27 | 4 | 6 | 17 | 31-55 | 18 |

## სუპერლიგა შეწყდა

საქართველოს კალათბურთის ეროვნულმა ფედერაციამ გამგეობის სხდომა გამართა, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ საკალათბურთო სუპერლიგა და ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ყველა ჩემპიონატი და საკალათბურთო ღონისძიება, რომლებიც კორონავირუსის პანდემიის გამო მარტის დასაწყისიდან შეჩერებული იყო, გაუქმდა.

კალათბურთის ფედერაციამ ჩემპიონატების გაუქმების გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც საკალათბურთო კლუბების დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა. ყველა საბიუჯეტო დავალიანება, რომლებიც სუპერლიგისა და ა ლიგის გუნდებს მიმდინარე სეზონში ეკუთვნოდათ, დაფარულია.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## ჯოსვოხდი ბ



**შვეულად:** 1. დაბალი ხარისხის ალმასი; 2. ქოქოსის კაკლის გული, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ზეთს; 3. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი ინსტრუმენტი; 4. კურორტი ბორჯომის ხეობაში; 5. ტბა გაგრის რაიონში; 6. მიწის თხილი; 9. მეცნიერება მევენახეობის შესახებ; 10. ქართველი მოქანდაკე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 11. ლირიკული ჟანრის სვანური სიმღერა; 14. ქართველთა სახელწოდება მუსლიმანურ ქვეყნებში; 16. ეგვიპტის დედაქალაქი; 18. სითხის გამოსახდელი მინის ლაბორატორიული ჭურჭელი; 20. რაიმეს დამზადების წესი; 23. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 24. მაგიდა სადურგლო სამუშაოებისთვის; 25. ფრანგი შანსონიე ქალი; 26. ქართული ფოლკლორული ანსამბლი.

**თარაზულად:** 7. მაღალი ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყო; 8. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე მძლეოსანი; 12. სუბტროპიკული ხილი; 13. სახელმწიფო ახლო აღმოსავლეთ აზიაში; 15. შექსპირის ტრაგედია; 17. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფინელი ავტომრბოლელი; 19. ხალხური თქმულებები, ლეგენდები; 21. ჰუნების წინამძღოლი; 22. მოედანი სამხედრო-სამწყობრო ვარჯიშებისთვის; 27. სანახაობითი წარმოდგენა, სადაც ქალი თანდათანობით შიშვლდება; 28. ტიპობრივი ნიმუში, საზომი, ნორმა.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3. ფალანგა; 4. კრონა; 5. კონკლავი; 6. რანდი; 7. თაკვერი; 9. ტრიუმო; 13. პერტი; 17. რემა; 18. ფხა.

**თარაზულად:** 1. საიგაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. მუსკატი; 11. კანიო; 12. ბაზალტი; 14. სტამბა; 15. ჩხავერი; 16. ვერფი; 19. ხუტორი; 20. დივიზია; 21. მატანი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მახათა; 2. ბუდა; 3. გალომანია; 4. დუომო; 5. ვისკოზა; 8. ერზაცი; 9. პოლიფონია; 12. ბუსეტო; 14. როტორი; 16. ერაყი.

**თარაზულად:** 1. მზეჭაბუკი; 6. ხანჯლური; 7. ხავერდი; 9. პაროლი; 10. კომო; 11. ჩარხილი; 13. მარკა; 15. ბურიმე; 17. ბალასტი; 18. პეპელა; 19. კვარცი; 20. მიტარბი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


28 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1901

ევრო — 3.5149

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9334

100 რუსული რუბლი — 4.4993

## ამინდის პროგნოზი 28 მაისისთვის

## ბეილი: „რეალის ფანები ცუდად მომეჭცნენ“

მადრიდის რეალის უელსელმა შემტევმა გარეტ ბეილმა განაცხადა, რომ განაწყენებულია რეალის გულშემატკივრებზე, რადგან ისინი ცუდად მოექცნენ. ბეილის აზრით, ფანები ფეხბურთელებს მხარს უნდა უჭერდნენ, განსაკუთრებით – რთულ სიტუაციებში:

– არ მესმის, რატომ მაკრიტიკებდნენ ასე ხშირად, რადგან მე რეალისთვის ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი. რთულია თამაში, როდესაც საკუთარი გულშემატკივარი გისტვენს. იმედი მაქვს, მსგავსი რამ არ განმეორდება, რადგან ეს ნორმალური არ არის.

## მაურისიო სარი: „სეზონის განახლება ბევრს დეპრესიიდან გამოიყვანს“

ტურინის იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ განაცხადა, რომ სეზონის განახლება იტალიაში უკვე შესაძლებელია და ხალხისთვის ეს მხოლოდ კარგი იქნება. უფრო მეტიც, სარი ფიქრობს, რომ გულშემატკივრები დეპრესიიდან გამოვლენ, როდესაც საყვარელ ფეხბურთელებს ისევ იხილავენ საქმეში:

– დარწმუნებული ვარ, სეზონის განახლება ბევრ ფანს გაუხარდება და უფრო მეტიც, ისინი თავს დააღწევენ იმ სტრესულ გარემოს, რომელშიც ეს თვეებია, იმყოფებოდნენ. მინდა, ფეხბურთი ისევ ვითამაშოთ და ეს ყველასთვის კარგი იქნება.

## კოუტინიო, შესაძლოა, ნიუკასლის ფეხბურთელი გახდეს

ბარსელონის ბრაზილიელი ნახევარმცველი ფილიპე კოუტინიო კარიერას, სავარაუდოდ, ინგლისში გააგრძელებს, სადაც მისით რამდენიმე გუნდია დაინტერესებული.

ამ გუნდების რიცხვს ნიუკასლიც დაემატა. ნიუკასლს ახალი მფლობელი ჰყავს და ამ გუნდს სერიოზული ფინანსური შესაძლებლობები გაუჩნდა. ნიუკასლი მზად არის, კოუტინიოს ტრანსფერში 70 მილიონი გადაიხადოს, თუმცა, სავარაუდოდ, ბარსელონას ეს თანხა არ დააკმაყოფილებს.

## ხოსეპ გვარდიოლა: „სიტის ფეხბურთელები კარგ ფორმაში არიან“

მანჩესტერ სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ ძალიან კმაყოფილია თავისი ფეხბურთელების ფორმით და არ ელოდა, რომ ისინი კარანტინის დროს კარგ ფიზიკურ კონდიციებს შეინარჩუნებდნენ:

– ჩემს ფეხბურთელებს რომ ვუყურებ, მეამაყება, რადგან მათ შეძლეს კარგი ფიზიკური ფორმის შენარჩუნება, მიუხედავად იმისა, რომ მათ საკმაოდ ბევრი დრო გაუცდათ. როდესაც სეზონი განახლდება, ჩვენ მისთვის კარგად მომზადებული ვიქნებით.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## ასტროპროგნოზი

### 28 მაისისთვის

**ვერძი** – ერიდეთ ახალგაცნობილ ადამიანებთან კონტაქტს, ასევე – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **კურო** – ნუ გარისკავთ. მეორე ნახევრისგან განსაკუთრებულ ყურადღებას გრძნობთ. შესაძლოა, ახალი ნაცნობობა დიდ მეგობრობაში გადაიზარდოს. **ტყუპები** – შორს გამგზავრებისაგან თავი შეიკავეთ. მოაწესრიგეთ საოჯახო საქმეები. **კირჩხიბი** – დაბნეულობის გამო სამუშაო რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. მთელი ძალების კონცენტრაცია დაგჭირდებათ, რათა მიზანს მიაღწიოთ. **ლომი** – აგრესიული ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. ყურადღება საკუთარ ჯანმრთელობაზე გაამახვილეთ. **ქალწული** – ახალი საქმის დასაწყებად არახელსაყრელი დღეა. ნურაფერს დაგეგმავთ. განიტვირთეთ და დაისვენეთ. **სასწორი** – მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად არ ენდოთ. დღეს კარგი იქნება, თუ ფიზიკურად დაიტვირთებით. **ღრიანკალი** – კონფლიქტური დღეა. დაიმახსოვრეთ, დუმილი ოქროა. სხვის საქმეში ნუ ჩაერევით. **მშვილდოსანი** – მშვენიერი პერიოდია ახალი იდეების რეალიზაციისათვის, საკუთარი ტალანტის წარმოსაჩენად. **თხის რქა** – გირჩევთ, ეს დღე სახლში გაატაროთ. ნებისმიერ სიახლეს მშვიდად შეხვდით. თავი მოიწესრიგეთ. **მერწყული** – ზედმეტი მიმნდობლობა სასურველი არ არის. თავი შეიკავეთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისაგან. **თევზები** – ვარსკვლავები გწყალობენ. განსაკუთრებით გაგიმართლებთ ფინანსური ოპერაციების კუთხით.

**გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

ქმარი ცოლს ურეკავს და ეკითხება:

– ალო, საყვარელო, რომელი უფრო მოგწონს ზღვა თუ მთა?

– რა თქმა უნდა, ზღვა, ძვირფასო! რა, დასასვენებლად მივდივართ?

– არა, ტუალეტისთვის ჰაერის გამაგრილებელს ვარჩევ...

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, საშინელი მექალთანეაო?

– იტყუებიან, ქალბატონო! განა საშინელს ვგავარ?

●●●

მაგრად ნაცემ მამაკაცს გამომძიებელი ეკითხება:

– ვერ გამიგია, რესტორანში ჩხუბის დროს რატომ დაიყვირეთ, რომ პარლამენტარი იყავით?

– ვიფიქრე, შეეშინდებოდათ და ჩხუბს შეწყვეტდნენ, იმათ კი ერთმანეთთან ჩხუბი შეწყვიტეს და ყველა მე დამესია... ის კი არა, მზარეული და დამლაგებელიც კი გამოცვივდნენ ჩემ საცემად!

●●●

სოფელში ოთხი ქალი კუბოს მიასვენებს, რომელშიც ქალი ასვენია. ამის შემსწრე ჩასულ სტუმარი გაკვირვებული კითხულობს:

– კი მაგრამ, კუბო ქალებს რატომ მიაქვთ?

– ცხონებული მამაკაცებზე იყო გაბრაზებული და ასე დაიბარა: „ცოცხალი არავინ წამიყვანა და მკვდარსაც ნუ გაატანთ ჩემს თავს, გაწყდა მაგათი სინსილა!“

●●●

სასამართლოზე მოწმეს მოსამართლე ეკითხება:

– გვარი!

– ვისი, ჩემი?

– არა, ჩემი. რა თქმა უნდა, შენი.

– მახარაძე.

– დაბადების წელი?

– ვისი, ჩემი?

– ჰო, შენი!

– ჩემი – 1968.

– ცოლიანი ხარ?

– ვინ, მე?

– ჰო, შენ!

– კი, ცოლიანი ვარ.

– დიდი ხანია, ერთად ცხოვრობთ?

– ვისთან, ჩემს ცოლთან?

– არა, ჩემს ცოლთან! – გადაირია მოსამართლე.

– თქვენს ცოლთან, ასე, ექვსი თვე იქნება...

●●●

კაცი ქალს ეკითხება:

– რამდენი წლის ხარ?

– 25-ს.

– როდის შეგისრულდა?

– 15 წლის წინ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## „რა? სად? როდის?“ ეთერში ბრუნდება




ინტელექტუალური თამაშების კლუბი „რა? სად? როდის?“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში საგაზაფხულო თამაშების სეზონით ბრუნდება.

31 მაისიდან მოაზროვნეები ტელემაყურებელთა შეკითხვებს უპასუხებენ და გამარჯვებას შეეცდებიან.

მაყურებელთა შეკითხვებს მოაზროვნეებს, ტრადიციულად, ბატონი წამყვანი – გიორგი მოსიძე გააცნობს.

## ჯანო იზორია კულტურისთვის ყურადღებას ითხოვს

მსახიობი ჯანო იზორია კულტურისთვის ყურადღების მიქცევას ითხოვს:

– თეატრი, კინო, ოპერა, ქორეოგრაფია, ორკესტრი, სპორტის სახეობები ყოფილა თურმე ქვეყნიერების, პლანეტის პრობლემა?

პრობლემა აწი ნახეთ. სულის, განცდის და ემოციის, აღფრთოვანების, ტაშით აპლოდირების დაქვეითების კორონა რომ შეეყრება კაცობრიობას და შეყრილი აქვს უკვე.

## ბესიკ ნემსაძე: „ეს არის ქვეყანა, სადაც კულტურა არ არის პირველ ადგილზე“

მომღერალი ბესიკ ნემსაძე საქართველოს მიიჩნევს ქვეყნად, სადაც კულტურა პრიორიტეტი არ არის:

– ესაა ქვეყანა, სადაც კულტურა არ არის პირველ ადგილზე. ესაა მსოფლიოში ერთ-ერთი ძლიერი ერი კულტურის მხრივ, სადაც ამდენი უნიჭიერესი მსახიობი, მოცეკვავე თუ მომღერალი ცხოვრობს და ესაა მთავრობის მიერ დაკიდებული, სამარცხვინოდ ულუკმაპუროდ დატოვებული ხელოვანი ხალხი. აი, ესაა ქვეყანა.

## „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ ინგლისურად აჟღერდა

ამერიკის სხვადასხვა შტატში მცხოვრებმა მართლმადიდებლებმა ქართული სააღდგომო საგალობელი „ქრისტე აღსდგა მკვდრეთით“ ინგლისურ ენაზე შეასრულეს და ვიდეოჩანაწერი ინტერნეტში გაავრცელეს.

იზოლაციაში მყოფმა ათობით მომღერალმა ქართული საგალობელი დისტანციურ რეჟიმში იგალობა. ინგლისურ ენაზე შესრულებული სვანური საგალობელი ქართული მელოდიით აჟღერდა და ათასობით მსმენელის უდიდესი მოწონება დაიმსახურა.

## დათა თავაძეს თეატრის მომავალი აღელვებს

მსახიობსა და რეჟისორს დათა თავაძეს კორონავირუსის გავრცელების გამო თეატრის მომავალი აღელვებს:

– განცალკევებული მაყურებელი პირბადეებით, ხელთათმანებით, მაყურებლისთვის სიცხის გაზომვა შესასვლელში, მათი სახელებისა და ტემპერატურის ჩაწერა, რიგრიგობით მიცილება ადგილებამდე, რაღაც პარკებში გახვეული კაპელდინერები, ფოიეების გადაკეტვა, მსახიობებს შორის დისტანცია, ტუალეტების გაუქმება, ყოველი სპექტაკლის შემდეგ შენობის დეზინფექცია და ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ თქვენი მოუშორებელი ნერვული ტიკები, მავნე ჩვევები, რომლებსაც ტრადიციასა და კულტურას არქმევთ, ეს ქედმაღალი კეკლუცობა, ოდნავადაც არ დათმოთ. და აი, ამ ჯოჯოხეთის წრეების გავლის შემდეგ რას ახვედრებთ მაყურებელს სცენიდან ამაზე შთამბეჭდავს, ეს მაინტერესებს ძალიან. ჩვეულებრივი მარაზმია ამ ხავერდის სკამებზე ჩაჭიდება.

ვწუხვარ, რომ ძალიან ბევრი მთელ მსოფლიოში იმ მავნე და ყოვლად უთანასწორო სისტემის გადასარჩენად იბრძვის, რომელიც პანდემიის ფონზე საბოლოოდ განადგურდა. მაგრამ ამის აღიარება ისევე გვიჭირს, როგორც იმის, რომ უკვე ათწლეულებია, ისევ გვამად გადაქცეულ სტრუქტურებს ხელოვნურად ვაცოცხლებდით ამ სფეროში. იმ ძვირადღირებული მავნებლობის შენარჩუნებაში უფრო დიდი ენერგია იხარჯება, რამაც სინამდვილეში მოკლა თეატრი, იმ ჩვევებისადმი ერთგულების მოსაწყენი, უსაფრთხო რიტუალების, სადაც თეატრი აღარ არის იდეა, არამედ ცარიელი შენობაა, ვიდრე რაიმე ჯანსაღი გამოსავლის ძიებაში.

თეატრი ყველგანაა და ყოველთვის შეიძლება „მოხდეს“, დიახ, „მოხდეს“, რადგან თეატრი არის შემთხვევა, რომელსაც თვითმხილველი ჰყავს და არა მაყურებელი, მით უმეტეს, საერთოდ არ ითხოვს „მომზადებულ მაყურებელს“, „განათლებულ მაყურებელს“ ან „პროფესიონალ მაყურებელს“.

ვგრძნობ, რაც მკვდარია, ის საბოლოოდ დაიმარხება, იმიტომ, რომ არ არსებობს ადამიანი, ვისაც ასეთ გარემოში სისტემურად ყოფნა რაიმე სიამოვნებას მიანიჭებს. მეორე მხრივ, რაც ნამდვილია თეატრში, ის მაინც აუცილებლად გადარჩება. ისევე გადარჩება ცოცხალი ხელოვნება, როგორც გადარჩება სიცოცხლე. უბრალოდ, ჩვენ სიცოცხლე დიდად არ მოგვწონს ხოლმე, სამწუხაროდ. როგორც იტყვიან, ყოველთვის ცოტა ცხოვრება უფრო გვერჩივნა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ჯოსვოხდი ა



**შვეულად:** 1. ერთი და იგივე აზრის, განსაზღვრების გადმოცემა-მტკიცება, გამეორება სხვა სიტყვებით; 2. საჭმლის მომნელებელი ორგანოების ერთობლიობა; 3. ბურატინოს იტალიური პროტოტიპი; 4. უფერული სითხე, რომელიც მიმოიქცევა ცხოველის, ადამიანის უჯრედშორის სივრცეებსა და სადინარებში; 5. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 6. კვერნისებრთა ოჯახის ცხოველი; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 9. ილუზიონისტთა ფარული ჯიბე მანიპულირებისთვის; 13. თეთრი, მკვრივი ნივთიერება, რომლითაც დაფარულია კბილის გარეთა ნაწილი; 17. ტერიტორიული ერთეული საბერძნეთში; 18. ტროპიკებში გავრცელებული დიდი მახრჩობელა გველი.

**თარაზულად:** 1. განსაკუთრებული ნიჭი; 3. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 8. ფლორიდის საკურორტო ცენტრი; 10. დებულება, რომელსაც მტკიცება არ სჭირდება; 11. გერმანული ავტომობილი; 12. ახირებული სურვილი, ჭირვეულობა; 14. კინოფესტივალის სახელწოდება იტალიაში; 15. ყნოსვის უნარის მოშლილობა, დაქვეითება; 16. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 19. მუსლიმთა ყოველდღიური, ხუთჯერადი ლოცვა არაბულ ქვეყნებში; 20. ღამის პეპელა; 21. საზღვაო მოგზაურობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*